ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თა ვისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 6 (33) 26 მარტი 1991

## რას გვაქნევდით, რა გინდოდათ, ერთმანეთსა რითა ვჰგვანდით.
## თქვენ მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ლაწვთა ვგანდით.







### პესიმისტის რეპლიკა

ეს ჩემგან კია
მეტისმეტი თუმცა
სიმკაცრე,
მაგრამ
ყოველთვის
ცნობილია,
არ ხამს ალერსი;
დაღონებული როა
კაცი, —
მესმის იმ კაცის, —
გახარებული კაცის, —
არ მესმის.
ვინც გინდა იყავ, —
გინდ არქიფო,
თუ გინდა ზაქრო! —
რა გიხარია,
შე შობელძაღლო!

მუხრან მაჭავარიანი







# საქართველოს უზენაეს საბჭოს

ფაქტები გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობას განზრახული აქვს საქართველოს ფარგლებში ქართველი მოსახლეობის გენოციდის გამოყენება იმ მიზნით, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო აიძულოს, ხმა მისცეს საქართველოს შესვლას ახალ ფედერაციაში, ანუ მოახდინოს სსრკ-ში საქართველოს ყოფნის დაკანონება. ეს გენოციდი უკვე წარმოებს შიდა ქართლში და ყოველდღე შესაძლებელია მისი დაწყება საქართველოს სხვა რეგიონებში. შინაგანი ჯარები ეხმარებიან ქართველი მოსახლეობის მკვლელთა ბანდებს იმით, რომ არც მილიციას, არც მეზობელი ქართველი მოსახლეობისაგან შემდგარ მაშველ ჯგუფებს საშუალებას არ აძლევენ, იერიშმიტანილ ქართულ სოფლებში მივიდნენ და მოსახლეობა დაიცვან. ცნობილია, რომ ოსი ეროვნების ბანდიტური რაზმების ხელში მყოფი საბრძოლო იარაღი (როგორც სამსროლელო, ისე რაკეტები) მიღებულია საბჭოთა არმიის ნაწილებისაგან.

ოსი ეროვნების ბანდებში, რომლებიც ქართველ მოსახლეობას ძარცვავენ და ხოცავენ, მონაწილეობენ როგორც საქართველოს მაცხოვრებელნი, ისე საქართველოს გარედან შემოყვანილი პიროვნებები. ეს იმას ნიშნავს, რომ არაქართველი ეროვნების ყველა ბანდა, რომელსაც კრემლი მომავალში შექმნის საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ საბრძოლველად, დაკომპლექტებული იქნება არა მარტო საქართველოს მაცხოვრებლებით, არამედ ამავე არაქართველი ეროვნების ისეთი პიროვნებებითაც, რომლებიც საქართველოს გარეთ ცხოვრობენ. ამგვარად, იმპერიას საშუალება ეძლევა, რომ საქართველოში გამუდმებით იყოლიოს საქართველოს წინააღმდეგ მეომარი რაზმები, რომელთა სიდიდე პრაქტიკულად შეუზღუდველი იქნება.

სამწუხაროდ, ვერც საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრმა, ვერც ინფორმაციის რომელიმე სხვა ორგანომ ვერ უზრუნველყო ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ ობიექტური და საკმარისი ინფორმაციის მიწოდება მსოფლიოსათვის, მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება, ძირითადად, ცილისწამება საქართველოს მიმართ, კერძოდ, საკავშირო პრესიდან და ტელევიზიიდან მიღებული ცნობები, რომელთა მიხედვითაც ადგილი აქვს ოსი მოსახლეობის პოლიტიკურ და ფიზიკურ შევიწროებას, მასზე თავდასხმას, მის რბევას და ხოცვას.

ასეთ პირობებში საქართველოს უზენაესი საბჭო ვალდებულია ერის წინაშე, რომ:

1. საქვეყნოდ და ოფიციალურად მოახდინოს იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ომს აწარმოებენ საქართველოს წინააღმდეგ, და სათანადო ნოტით მიმართოს საბჭოთა კავშირის მთავრობას. ამასთანავე უნდა მიმართოს მსოფლიოს მთავრობებს და გაეროს თხოვნით, რათა შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიონ აგრესიისაგან დაცვის საქმეში; ნოტებით მიმართოს ოსეთს (ე. წ. „ჩრდილო ოსეთს“) და რსფსრ-ს მთავრობებს მათი ტერიტორიიდან საქართველოში ბანდიტებისა და იარაღის შემოსვლის შეწყვეტის შესახებ.

2. შექმნას თავდაცვის სახელმწიფო საბჭო, რომელიც ხელში აიღებს მართვის ძირითად ფუნქციებს, მანამდე, სანამ არ ჩაითვლება, რომ საქართველოში მშვიდობაა. საბჭო შედგეს პიროვნებებისგან, რომელთა ვინაობა და რომელთა დანიშვნის მოტივირება ეცნობება მოსახლეობას.

3. გამოაცხადოს საქართველოს ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზაცია და დაქვემდებარება თავდაცვის მიზნებისათვის.

4. დაადგინოს, რომ შიდა ქართლში მყოფი ქართველი მოხალისე, რომელიც იარაღით ხელში იცავს მოსახლეობის უსაფრთხოებას, საქართველოს რესპუბლიკის სამსახურშია და მასზე თავდასხმა საქართველოზე თავდასხმას ნიშნავს; დაავალოს [illegible]ვის კომიტეტს ამ მოხალისეთა მოქმედების კონტროლი.

5. ვინაიდან არაობიექტური და საქართველოსთვის საზარალო ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ დღეს საყოველთაოდ გავრცელებულია, საქართველოს უზენაესმა საბჭომ როგორც თავის მიმართვებში გაეროსა და მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებისადმი, ისე თავის ნოტაში სსრკ მთავრობისადმი ჩართოს სრული და კონკრეტული ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში მომხდარი დანაშაულების შესახებ; სთხოვოს მსოფლიოს საზოგადოებრიობას ცხინვალის რეგიონში ობიექტური კომისიის გამოგზავნა.

მოვითხოვთ ამ ზომების მიღების საკითხის გატანას უზენაესი საბჭოს სესიაზე კენჭის საყრელად.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები:

1. ნ. ნათაძე
2. ა. მარგიანი
3. პ. კოლუაშვილი
4. გ. ლოგუანიძე
5. გრ. მარგიანი
6. გ. ქავთარაძე
7. რ. მემარნიშვილი

მიმართვა წაკითხულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 20 მარტს.

# საქართველოს სახალხო ფრონტში

25 მარტს ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ ნათაძემ. მან ვრცლად ისაუბრა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ. აღნიშნა, რომ 31 მარტამდე სასურველია შეწყდეს ყოველგვარი შინაპარტიული ბრძოლები. **დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ეროვნულ ძალთა სრული კონსოლიდაცია, რათა 31 მარტის რეფერენდუმზე საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცეს სრულიად საქართველოს მოსახლეობამ.**

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სსფ დარბაზის წევრი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომელმაც ისაუბრა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამთავრობო ვიზიტის შედეგებზე. უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს. სხდომაზე საუბარი იყო სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც.

# თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს — მუშაობის ძირითადი მიმართულებები

1. კვალიფიციური და ერთგული სარდლობის შექმნა; თავდაცვის სტრატეგიის ზოგადი დაგეგმვა.

2. მრეწველობის მობილიზაცია.

3. ადამიანთა რესურსების და მატერიალური რესურსების მობილიზაციის დაგეგმვა და განხორციელება (საქართველოს მასშტაბით იარაღის მობილიზაციის ჩათვლით).

4. კავშირგაბმულობის ორგანიზაცია.

5. როგორც საბრძოლო მოქმედებათა რეგიონების ბუნებრივი საზღვრების, ისე საქართველოს საზღვრების კონტროლი (ნარკობიზნესის კონტროლის ჩათვლით).

6. სადაზვერვო სამსახური.

7. მოსახლეობის სამხედრო წვრთნა და კადრის მომზადება.

8. საინტენდანტო და მომარაგების სამსახურის ორგანიზება.

9. მედსამსახურის ორგანიზება.

10. დივერსიების საწინააღმდეგო სამსახურის ორგანიზება.

11. ფინანსური სამსახურის ორგანიზება.

12. ინფორმბიუროს შექმნა. მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება (სათანადო რუკების გამოქვეყნებითურთ) სტრატეგიული ვითარების შესახებ.

# „ვეფხისტყაოსანი“ და სუკ-ი

**სამოცდაათიანი** წლების პირველი ნახევარია. უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვარ, რაიონიდან ჩამოსული, საკმაოდ მიმნდობი და გულუბრყვილო.

ერთ მშვენიერ დღეს ნათესავის ბინიდან წამოვიღე კირილე ლორთქიფანიძის მიერ 1899 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“. მაინტერესებდა, რა ბიბლიოგრაფიული ღირებულება გააჩნდა ამ გამოცემას და გადავწყვიტე, რუსთველოლოგიაში ჩახედული კაცისთვის მეჩვენებინა.

უნივერსიტეტის ბაღში, ბიჭებთან ერთად, უშანგ გაბიტაშვილიც იჯდა — სერიოზული განათლების კაცი, რომელიც გაცილებით უფროსი იყო ჩვენზე, მაგრამ მოდიოდა ხოლმე ჩვენთან და ვსაუბრობდით ათას რამეზე (მერე გავიგე, რომ ანტისაბჭოური აზრებისთვის ორჯერ ყოფილა გარიცხული უნივერსიტეტიდან და [illegible] აღრიცხვაზე ჰყოლია).

— რა გიჭირავს ეგ შეხვეული?
— [illegible] ბიჭებმა.
— „ვეფხისტყაოსანია“, 1899 წლის გამოცემა, მაინტერესებს, რა ბიბლიოგრაფიული ღირებულება გააჩნია. მინდა ვინმეს ვაჩვენო.
— მერე, აგერ, უშანგის ანახე. ამაზე უკეთ ვინ გეტყვის — მითხრეს ბიჭებმა.

მივეცი უშანგს ეს წიგნი. მან გადაათვალიერა, გამოცემის თარიღი ნახა, გამომცემლების ვინაობაც [illegible] რა მითხრა, მოდი, სახლში [illegible], სხვა გამოცემებთან შე[illegible]. [illegible] და ხვალ მოგიტანო. [illegible]თანხმდით.

მე ლექციებზე შევედი. დღის ბოლოს, შელამებულზე, როცა ლექციები დამთავრდა და ეზოში გამოვედით, ერთი დაბალი ტანის, ჩასკვნილი, ოდნავ შეჭაღარავებული კაცი მომიახლოვდა და მკითხა:

— ჯანაშია თქვენა ხართ?
— დიახ, — ვუპასუხე მე.
— ერთი წუთით კადრების განყოფილებაში წამობრძანდით.
— რაშია საქმე?
— არაფერი ისეთი, პატარა რაღაცაა გასარკვევი თქვენს ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

დამცეცხლა. რა არ გავიფიქრე. იქნებ სტაჟია არასწორად ჩაწერილი, ან სხვა საბუთშია რამე შეცდომა-მეთქი.

კადრების განყოფილებაში შევედით. მაგიდასთან იჯდა ჩასუქებული, საშუალოზე ცოტათი მაღალი, შავგვრემანი კაცი. კადრების განყოფილების უფროსად გამეცნო. გამომკითხა, სადაური ხარო, რა გვარი ხარო, სკოლა როგორ დაამთავრეო, გამოცდებზე რა მიიღეო. ერთი მხრის შვილები ვყოფილვართო და მერე მეუბნება: კარგი ბიჭი ყოფილხარ შენ, მაგრამ, რა ვქნათ, უნივერსიტეტიდან გარიცხვა არ აგცდება, შენი ბრალია ყველაფერი, რა გინდოდა უშანგ გაბიტაშვილთან და მისთანებთან, ალბათ, შენც მათი ამხანაგი ხარ და ერთად ლანძღავთ ხოლმე საბჭოთა წყობას, დღეს, შუადღისას რომ გაბიტაშვილს რაღაც შეხვეული გადაეცი, ანტისაბჭოთა ლიტერატურა იქნებოდა და ამისთვის მკაცრად დაისჯებიო.

მოკლედ, მოხსნა ამ კაცმა გუდას პირი და კინაღამ საბჭოეთის დამანგრეველ-დამაქცევლად მაქცია ეს საწყალი სტუდენტი.

გავშრი კაცი. ეს რა ვქენი, რა ჰირში ჩავვარდი-მეთქი.

— ბატონო... — ამოვღერღე როგორც იქნა — ეს „ვეფხისტყაოსანი“ იყო, რომ მივეცი, სხვა არაფერი ყოფილა.

— ვიცით, ვიცით, ჩვენ, რაც მიეცი გაბიტაშვილს. შენზე და გაბიტაშვილზე ნაკლებად არ ვიცით არც „ვეფხისტყაოსანი“ და არც სხვა რამ. დღეს „ვეფხისტყაოსანი“ მიეცი, მაგრამ ადრე შეიძლება აკრძალული ლიტერატურაც კი გადაეცი. მოკლედ, შენთვის ჯობია, ყველაფერი დაკაკლო, — შეუვალი სახით განმიცხადა ამ კაცმა.

ღმერთი, რჯული, რაც არ იცი, არ იცი. რა უნდა ამ კაცს, რა უნდა მათქმევინოს, ტყუილებს ხომ არ მოვიგონებ. გავჯიუტდი მეც. „ვეფხისტყაოსანი“ იყო რომ გადავეცი გაბიტაშვილს, სხვა რამ მისთვის არაფერი გადამიცია და თუ „ვეფხისტყაოსანზე“ კაცს იჭერდნენ, პირველად მესმის-მეთქი.

— ჩვენ შეგვიძლია ხვალვე კუთხრათ ფეხს და უნივერსიტეტიც უკან დაგრჩება. კომკავშირიც და შეიძლება ციხეშიც ამოყო თავი, მაგრამ გვეცოდები, პატიოსანი ბიჭი ჩანხარ და გაგაბრიყვეს ალბათ. ა, შენი „ვეფხისტყაოსანი“, წაიღე სახლში. კომკავშირელი კაცი ხარ და უნდა იცოდე, რომ გაბიტაშვილი და მისთანები სიკეთეს არ მოგიტანენ, ისინი ახალგაზრდებს რყვნიან, ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწევიან და შენი, როგორც კომკავშირელის ვალია წინ აღუდგე მათ. ჩვენ ბევრს კი არ გთხოვთ. უბრალოდ, თუ გაბიტაშვილთან, ან სხვაგან შეიკრიბებით, მოდი და მოგვიყევი. რაზე საუბრობდით, ვინ და ვინ იყავით, რა წიგნებს კითხულობდით. სამაგიეროდ, ჩვენც არ მოგაკლებთ ყურადღებას, დეკანატსაც გავაფრთხილებთ, რომ მოგხედონ, გამოცდების ჩაბარებაშიც შეგიწყობთ ხელს... — საოცრად დამიტკბა ეს კაცი.

ეხლა კი დამკრა თავში, ვისთანაც მქონდა საქმე. არც ისე გულუბრყვილო ვიყავი, რომ თეთრი ვერ გამერჩია შავისაგან. აშკარად გადაბირებას მიპირებდნენ სუკ-ის ეს თანამშრომლები, ნიღბად კადრების განყოფილება რომ აეფარებინათ (თუმცა, როგორც მერე გავიგე, თითქმის ყველა ორგანიზაციის კადრების განყოფილება სუკ-თან ყოფილა შეკრული) და ჩემი სულიერი მეგობრების გაყიდვას მთავაზობდნენ.

მე თვითონაც გამიკვირდა, ისე გავწიწმატდი. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე. მერე ამ საუბრის შესახებ ბიჭებს მოვუყევი, თან გავაფრთხილე, შემდეგში მალულად ვაჩვენე კიდეც სუკ-ის ეს თანამშრომლები.

ამ ამბის შემდეგ კიდევ კაი ხანს მდია სუკ-ის იმ თანამშრომელმა, პირველად რომ მიმიყვანა მაშინ კადრების განყოფილებაში და ყველანაირად ეცადა ჩემს გადაბირებას. მეც ათასნაირი ტყუილით ვარიდებდი ხოლმე თავს და ბოლოს, ეტყობა, მასაც მობეზრდა და თავი გამანება.

P.S. ეს ამბავი მივიწყებულიც კი მქონდა უკვე, რომ არა ერთი საკმაოდ დიდი წერილი ამ რამდენიმე ხნის წინ პრესტიჟულ რესპუბლიკურ გაზეთში სუკ-ის სწორედ იმ თანამშრომლისა, რომელმაც მიმიყვანა მაშინ კადრების განყოფილებაში და მერე კარგა ხანს მდია გადასაბირებლად.

მის წერილში იგი ეროვნული პოზიციებიდან გვესაუბრება ეროვნული უშიშროების საკითხებზე. ღმერთმა ქნა, წრფელი იყოს მისი ეს პოზიცია. თუმცა, ცოტა არ იყოს ეჭვი მეპარება, რომ კაცმა, რომელიც თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ყოველივე ეროვნულის წინააღმდეგ იბრძოდა და ამ ბრძოლაში პოდპოლკოვნიკის წოდებაც კი დაიმსახურა საბჭოთა იმპერიისაგან, ასეთი სრული მეტამორფოზა განიცადოს.

კიდევ ვიმეორებ: ღმერთმა ქნას, ასე იყოს.

**სერგო ჯანაშია**

# ორი რუსეთი?

საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, რომ არსებობს „ორი რუსეთი“ — ერთი მხრივ პირსისხლიანი დიქტატორების ივანე მრისხანეს, პავლეების, ნიკოლოზების, ლენინ-სტალინ-გორბაჩოვისა და მეორე მხრივ დიდი ჰუმანისტების: პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვის, სოლჟენიცინის, სახაროვის.

ვინც ამ აზრს იზიარებს, გულწრფელად სჯერა, რომ „პირველი რუსეთის“ (ტირანების) ბოროტებას ყოველთვის უპირისპირდებოდა „მეორე რუსეთის“ (ჰუმანისტების) სიკეთე. მაგრამ იბადება კითხვა: ჭეშმარიტია თუ არა ეს მოსაზრება სხვა ერებთან მიმართებაში, რომლებიც ისტორიის ბედუკუღმართობის გამო რუსეთის იმპერიაში აღმოჩნდნენ? მართლა მიჰქონდათ თუ არა გულთან სხვა ერების ბედი რუს მწერალ-ჰუმანისტებს?

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, ამგვარი თანადგომის კვალს „მეორე რუსეთის“ წარმომადგენელთა შემოქმედებაში იშვიათად შევხვდებით.

დიდი რუსი მოაზროვნეების ჰუმანიზმი მთავრდება იქ, სადაც იწყება პოლიტიკა.

ზემოთქმულის დასტურად მოგვყავს ნაწყვეტი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, ფილოსოფიის დოქტორისა და ცნობილი სლავისტის, ჯეკ მეტლოკის სტატიიდან „დოსტოევსკი — ლიტერატურა და პოლიტიკა“.

კობა ლიკლიკაძე

# დოსტოევსკი — ლიტერატურა და პოლიტიკა

დოსტოევსკი დაუცხრომელი ინტერესით ადევნებდა თვალს რუსეთსა და ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. მისი შეხედულებები თავისი დროის პოლიტიკურ პრობლემებზე პირველწყაროდან, მწერლის ხელიდან გამოსული ნაწარმოებებიდანაა ჩვენთვის ცნობილი. ესაა უმდიდრესი მასალა. განზე გადავდოთ დოსტოევსკის დაპატიმრებამდე (1848 წ.) შექმნილი ნაწარმოებები, რომლებიც მემარცხენე (სოციალისტური — მთარგმნ. შენიშვნ.) პოლიტიკის ჰაერითაა გაზავებული და გავიხსენოთ 70-იანი წლების შეხედულებები და გამონათქვამები (ამ პერიოდში ქმნიდა იგი „ძმებ კარამაზოვებს“). ეს გამონათქვამები შეიცავენ მრავალგზის განმეორებულ შემდეგ მოტივებს:

1. დოსტოევსკი თურქეთთან ომის თავგადაკლული მომხრე იყო. იგი ოცნებობდა სამხრეთის სლავთა განთავისუფლებასა და კონსტანტინეპოლის აღებაზე. 1875 წლის ბალკანეთის ამბების შემდეგ, დოსტოევსკი დაჟინებით მოითხოვს სამხედრო მოქმედების დაწყებას. შვებით ამოისუნთქა, როცა 1877 წელს რუსეთმა, ბოლოსდაბოლოს, გამოუცხადა ომი თურქეთს და აღტაცებული გამოეხმაურა ამ მოვლენას. (იხ. „მწერლის დღიური“, 1877 წ. თავი 1).

2. მისი პანსლავიზმი, რაც რუსეთის განსაკუთრებული მისიითა და მართლმადიდებლობის ერთადერთი ბურჯის რწმენით იყო გასენილი, არაფრით განსხვავდება რუსული იმპერიალიზმისაგან. 1876 წლის ოქტომბერში დოსტოევსკი წერს: „ვინაიდან სლავთა საკითხი რუსების საქმეა, ის უნდა გადაწყდეს მხოლოდ რუსეთის მიერ“ (თ. მ. დოსტოევსკი. თხზ. სრ. კრებული, ტ. 10, 1895 წ.).

უფრო მეტიც, იგი უარყოფდა რუსი ნაციონალისტისა და გავლენიანი პანსლავისტის ნიკოლოზ დანილევსკის პოზიციას, რომელიც წერდა, რომ კონსტანტინეპოლი თანაბრად ეკუთვნის როგორც რუსებს, ასევე სხვა მართლმადიდებელ სლავებსო.

„...რანაირად შეიძლება რუსეთი თანასწორ პირობებში ფლობდეს კონსტანტინოპოლს, როდესაც რუსეთთან შედარებით არათანასწორნი არიან ეს ხალხები ყველა საკითხში! კონსტანტინეპოლი ჩ ვ ე ნ ი უნდა იყოს. ჩ ვ ე ნ, რუსებმა უნდა გამოვტაცოთ იგი თურქებს და დარჩეს ჩ ვ ე ნ ი უკუნითი უკუნისამდე... მხოლოდ რუსეთი უნდა ფლობდეს კონსტანტინეპოლს, მის შემოგარენს, ბოსფორის სრუტეს, სადაც მას ეყოლება ჯარი, ფლოტი და ექნება ციხესიმაგრეები“ (იქვე, ტ. 11, გვ. 381-382).

3. დოსტოევსკის საუბრები ომის სიკეთეზე ნაციონალ-სოციალისტის ეთიკა უფროა, ვიდრე ქრისტიანული სიყვარულით გულანთებული კაცისა. რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისში დოსტოევსკი წერდა: „ეს ომი ჩვენ გვპირდება არა მარტო თურქებისაგან გატანჯული „სლავი ძმების“ გამოსახსნელად, არამედ საკუთარი თავის გადარჩენისთვისაც. ომი განწმენდს ჰაერს, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავდით და რომელიც გვხრწნიდა სულიერ სიდუხჭირეში მყოფთ“. ამ სიტყვებს მოსდევს თავი, რომელსაც ეწოდება: „ომი ყოველთვის ღვთის რისხვა როდია, იგი ზოგჯერ ხსნაა“. აი, რას ამტკიცებს დოსტოევსკი აქ: „ომი, რა თქმა უნდა, უბედურებაა. ეს ასეა. მაგრამ ამგვარ მსჯელობაში ბევრი რამაა მცდარი (ე. ი. მსჯელობაში იმაზე, რომ ომი ეწინააღმდეგება ჰუმანიზმის პრინციპებს, ქრისტიანულ მორალს და იწვევს მეომარი ძალების გაველურებას, ავტ. შენიშვნა). ბოლოსდაბოლოს, რა გახდა ეს ბურჟუაზიული ჭკუის დარიგებანი! სისხლის გაღება, თვითშეწირვის გმირობა, რაც ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა, მთელ ბურჟუაზიულ კატეხიზისზე ბევრად უფრო ზნეობრივად მიგვაჩნია. ერის შეგნების ამაღლება დიადი იდეით, არის ბიძგი წინსვლისაკენ და არა გაველურება... რა არის იმ ომზე უფრო წმინდა და სუფთა, რომელსაც რუსეთი აწარმოებს ახლა?“ (იქვე, გვ. 115).

4. მისი წარმოდგენები უცხოელებზე და რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ სხვა არარუს ხალხებზე ქსენოფობიითა და ეთნიკური სიძულვილითაა გაჟღენთილი. კერძოდ, მას ახასიათებს ანტისემიტიზმი. ეს კი იმ შემთხვევებშიც წარმოჩინდება მთელი სიცხადით, როდესაც დოსტოევსკი ცდილობს თავი დაიცვას ამგვარ (ანტისემიტისტის) ბრალდებისაგან. ასე მაგალითად, 1877 წელს „მწერლის დღიურში“ ამგვარი ხასიათის პასაჟები გვხვდება: „ხანდახან გონებაში ასეთი ფიქრი მიტრიალებს: ვთქვათ, ებრაელები კი არ იყვნენ რუსეთში სამი მილიონი, არამედ რუსები. რას დაემსგავსებოდნენ ებრაელების ხელში რუსები და როგორ აბუჩად აგდებულები იქნებოდნენ ისინი? ვითომ ექნებოდათ რუსებს ისეთივე უფლებები, როგორც ებრაელებს? შეეძლებოდათ თავისუფლად ლოცვა? არ გადაიქცეოდნენ ისინი მონებად ებრაელების ხელში? უფრო მეტი: ცემაში არ ამოხდიდნენ სულს და მიწასთან არ გაასწორებდნენ, როგორც ამას სხვა ხალხების მიმართ სჩადიოდნენ ებრაელები ძველ დროს?“ (იქვე გვ. 93).

ერთი სიტყვით, პოლონელი, გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, ბერძენი, — ყველა არარუსი, ვის შესახებაც დოსტოევსკის უხდება საუბარი, — უკლებლივ ყველა განიცდის მასთან მახინჯ სტერეოტიპიზაციას (ამის მაგალითია მეხუთე თავი „მწერლის დღიურისა“, სადაც დოსტოევსკი გამძვინვარებული უარყოფს წინადადებას პოლონელი ინტელექტუალების კვლავ რუსეთში დაბრუნებაზე, რომლებიც 1863 წლის აჯანყების შემდგომ იძულებით ემიგრაციაში იმყოფებოდნენ). და მაინც უფრო ხშირად დოსტოევსკი ებრაელებზე და პოლონელებზე საუბრობს გესლიანად.

5. ულრმესი სიძულვილი მსჭვალავს მწერლის წარმოდგენებს დასავლეთის საზოგადოებისა და მმართველობის ყოველგვარი ფორმისადმი. ეს ტენდენცია თავს იჩენს 1863 წელს გამოქვეყნებულ ნაწარმოებში „ზამთრის შენიშვნები ზაფხულის შთაბეჭდილებებზე“, რომელიც მან ევროპაში პირველი მოგზაურობის შემდეგ შექმნა. დასავლეთ ევროპისადმი დოსტოევსკის დამოკიდებულება ჯერ კიდევ ორპოფულია. ყველაფერი, რასაც აღწერს ნეგატიურადაა წარმოდგენილი: ბავშვების პროსტიტუცია ლონდონში, ლუდხანები, მოწამლული ჰაერი, ფულისმხვეჭელი ფარისევლებით სავსე პარიზი. მაგრამ მას ჯერ კიდევ შეუძლია ლირიკული პასაჟებით წეროს დასავლეთის იდეების სასიკეთო [illegible] თაობაზე: „აბსო[illegible]ფერი, რაც დღეს ვითარდება რუსეთში: მეცნიერება, ხელოვნება, მოქალაქეობა, ადამიანობა, ყველაფერი იქიდან (ევროპიდან — მთარგმ.), წმინდა საოცრებების ქვეყნიდან იღებს დასაბამს“ (იქვე გვ. 10). მაგრამ 1877 წელს დოსტოევსკი უკვე წერს: „თუ ყველაფერზე ვისაუბრებთ, შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ ჩვენში (რუსეთში) არც ერთი ევროპელი არ მოიძებნება, რადგან ჩვენ (რუსებს) არც შეგვიძლია ევროპელობა. რუსეთში მხოლოდ ბირჟის წვრილმოხელეები და პაწაწა ხელმძღვანელები თუ სარგებლობენ ნამცეცისოდენს ევროპელთა ნააზრევიდან. რაც შეეხება მოწინავე და დიდი გონების ადამიანებს, მათ ჩირადაც არ ულირთ ევროპული იდეები, რადგან მათში (ამ იდეებში) არც არაფერია წმინდა. ქვეყნად არ მოიპოვება იდეათა იმ ციკლზე უფრო ბუნდოვანი და გაუგებარ-გაურკვეველი რამ, რაც რუსეთში დაგროვდა ჩვენი ორასწლიანი ევროპელობის დროს. პრინციპში ეს იდეათა ციკლი კი არა, რაღაც ქაოსია გრძნობების, სხვის მიერ ბოლომდე მიუწვდომელი აზრების, სხვისი მსჯელობებისა თუ ჩვეულებების. ესაა თავად ევროპელი ლიბერალების ცარიელ სიტყვათა ქაოსი...“

დოსტოევსკის მიერ ევროპულ იდეათა მიუღებლობა და მოვლენები, რასაც იგი დასავლეთ ევროპაში ხედავდა, შესაძლებელია ავხსნათ მისი ფილოსოფიით. მაგრამ ზემოხსენებული სხვა გამონათქვამები აშკარად არ ექვემდებარება ამგვარ განმარტებებს. ეს გამონათქვამები, ერთად აღებული, თავისებური მხარდაჭერაა იმპერიის ყველაზე რეაქციული და აგრესიული ტენდენციებისა. ვთქვათ პირდაპირ: როდესაც დოსტოევსკი მიმდინარე პოლიტიკაზე მსჯელობს, იგი მსჯელობს ვითარცა ნამდვილი რუსი შოვინისტი, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი და ორპოფული, მაგრამ მაინც შოვინისტი. მისი სიყვარული რუსეთისადმი — მყვირალა ურა-პატრიოტიზმია.

ჯეკ მეტლოკი

ჟურნალი „ვოპროსი ლიტერატური“. 1989 წ. № 7.

---

ქრისტიანული მოძღვრების საფუძველთა-საფუძვლის ათი მცნების მეცხრე შეგონება ღაღადებს: „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“.

პოლემიკა

# არა ცილი სწამო!..

ქვეყნად სატანა! მძვინვარებს და მკრეხელობა მრავლდება. ცდუნებულნი აღარაფერს ერიდებიან და თვით ქველმოქმედებასაც წიხლებით დაჯირითობენ. ეს მწარე სიტყვები შემდეგმა გარემოებამ დაგვაწერინა: საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ არაერთხელ გახდა მსხვერპლი პრესაში აუგად მოხსენიებისა და ცილისწამებისა. მისი მესვეურები ახლაც იძულებულნი არიან მორიგი გამოხდომა მოიგერიონ. ამჯერად, საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია შეიყვანეს შეცდომაში, ახლა იქ გამოქვეყნდა გ. აბუთიძის პასკვილი — „ხვალ რა ვქნათ?“ („საქართველო“, 1991, № 4, 26 თებერვალი, გვ. 7).

ვინ არის ეს კაცი? მეტად კეთილშობილური პროფესიის მქონე — ბავშვთა ექიმი, ახალგაზრდა, რომელიც მშობლიურ რაიონში, ამბროლაურში სპეციალობის მიხედვით დანიშნეს. მან ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ნაცვლად „რევოლუციონერის ეკლიანი გზა აირჩია“, ჯერ იყო და სახალხო ფრონტში ჯახირობდა, შემდეგ რუსთაველის საზოგადოებას შეეფარა და არცთუ უანგაროდ — დეპუტატობის კანდიდატობა გაიხალდა, არჩევნებში კრახი განიცადა და ახლა გულგაბოროტებული საზოგადოება „რაჭას“ ებრძვის. მიზეზიც აქვს: ვერაფრით ვერ მოახერხა ეს საზოგადოება თავისი კარიერისტული მიზნებისათვის გამოეყენებინა. ჯერ კიდევ შარშან, ზაფხულის საარჩევნო კამპანიის წინ, როცა დარწმუნდა, რომ საზოგადოება „რაჭა“ მის პოლიტიკურ ამბიციებს მხარს არ დაუჭერდა, ამბროლაურის რაიონის გაზეთ „ამბროლაურის მოამბეში“ საზოგადოებას და მის ხელმძღვანელობას თავს დაესხა. გულწრფელად გვიკვირს გაზეთმა ამდენი ცილისწამება და უტიფარი ლანძღვა-გინება როგორ დაბეჭდა. არ გამოვეხმაურეთ, ქრისტიანული მორალის თანახმად მერე ყბა მივუშვირეთ, შემდეგ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოაცხო ვეებერთელა პასკვილი. დუმილი შეუძლებელი გახდა. საზოგადოება გამგეობისაგან პასუხის გამოქვეყნებას მოითხოვდა. გამგეობის სახელით იმავე გაზეთში საპასუხო წერილი დაიბეჭდა.

ახლა გაზეთ „საქართველოს“ მეშვეობით კვლავ ცილისწამებათა ქსელი მობლანდა. აიკვიატა ეს შაორის წყალსაცავი და ამ პრობლემაზე მომუშავე სპეციალისტებს ლამის თვალები დასთხაროს. რამდენჯერმე უთხრეს და არ ესმის — გეოლოგმა რომ პედიატრიის საკითხები გადაწყვიტოს, რა შედეგს მივიღებთ?

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ახლახან (1991, № 47, 9 მარტი, გვ. 2) შაორის წყალსაცავის პრობლემების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძის ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, სადაც ამომწურავადაა გადმოცემული პრობლემის არსი და მიღებულია ასეთი დასკვნა: „წყალსაცავის დაცლა და ჰიდროკვანძის ლიკვიდაცია ეკოლოგიური თვალსაზრისით უფრო დიდ ზიანს მოიტანს, ვიდრე თავის დროზე მისმა მშენებლობამ მოიტანა“. ვის დავუჯეროთ? გოჩა აბუთიძის სამიტინგო გამოსვლებს თუ წელიწადნახევრის მანძილზე ათობით სამეცნიერო ინსტანციის და სპეციალისტ-ინტელექტუალის უანგარო, თავდადებული შრომის შედეგს?

სხვათაშორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის და საზოგადოება „რაჭის“ ერთობლივი ძალისხმევით, კამხალებთან დაკავშირებით, პირველად განხორციელდა სადამ პრობლემების ესოდენ გამოწვლილვითი მეცნიერული შესწავლა, რაც უსათუოდ მისაბაძი და გასათვალისწინებელია.

უხამს ბრალდებათა შორის ერთ-ერთი ძირითადია: საზოგადოება „რაჭა“ თბილისში რატომ შეიქმნაო. სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, ვინაიდან თბილისში რაჭიდან გამოსული ასიათასი კაცი მაინც ცხოვრობს. უმეტესობას რაჭასთან კავშირი აქვს, მამაპაპურ სოფლებში სახლები უდგათ და ზაფხულობით ამ კუთხის ყველა სიკეთით სარგებლობენ. 70 წლის რბევა-აწიოკების შედეგად რაჭის სასიცოცხლო ძალები დაიშრიტა, სოფელთა უმეტესობა ნასოფლარებად იქცა, ზამთრობით სახლ-კარს მიმხედავი აღარავის ჰყავს. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში საკუთარი ადგილის დედას დედაქალაქის რაჭველებმა უნდა მიხედონ, რადგან ამ საყოველთაო შეჭირვების ჟამს სხვა მხსნელი და პატრონი გამორიცხულია რომ გამოჩნდეს. როგორც ზოგიერთი გვიკიჟინებს, ეს არც კუთხურობაა და არც ფეოდალური პარტიკულარიზმი, არამედ ცხოვრებისეული გარდაუვალობა და აუცილებლობაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაჭა საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარია და თუ ეს მხარე მოკვდება, მაშინ ჩვენს სამშობლოს ზღუდე-ჭიშკარი ჩამოეხსნება, მეტი რა უნდა მოძალებულ ოსობას?! ამიტომ ვცდილობთ ქველმოქმედების დონეზე მაინც ვიმოქმედოთ და მშობლიური კუთხის გადასარჩენად ყველა შესაძლებელი გავაკეთოთ. ვერაფრით ვერ აგვიხსნია, ეს კეთილშობილური სწრაფვა რატომ იწვევს ზოგიერთის გულისწყრომას? თბილისის მსგავსად რაჭის საზოგადოების განყოფილებები შეიქმნა რუსთავში, მცხეთაში, ქუთაისში, სხვაგანაც ეს თუ გაკეთდება, რა არის ამაში ცუდი?

არაფრით არ იჯერებს გ. აბუთიძე, რომ რაჭის სოფლებში გაზის გაყვანის საქმეს სათბობის სახელმწიფო კონცერნთან ერთად საზოგადოება „რაჭაც“ უდგას სათავეში და ამისათვის საკუთარ შეზღუდულ სახსრებს არ იშურებს.

ოპონენტი კვლავ აგრძელებს უაზრო და უშინაარსო კამათს ე. წ. „მარტივი“ და „რთული“ ქველმოქმედების შესახებ. საზოგადოება „რაჭა“ ამბროლაურსა და ონში არსებული განყოფილებების წარდგინების საფუძველზე მატერიალურად ეხმარება მხოლოდ რაჭაში მცხოვრებლებს, უპირველეს ყოვლისა, სტიქიური უბედურებების მსხვერპლთ, შემდეგ, შესაბამისად ყველა გაჭირვებულს, რა თქმა უნდა, შეძლებისდა მიხედვით.

სახსრებს ვახმართ სოფლის გზების კეთილმოწყობას, წყალსადენებს, საგანმანათლებლო-კულტურულ დაწესებულებებს და ა. შ. ვეხმარებით ადგილობრივ ფეხბურთის გუნდებს, მომღერალთა ანსამბლებს და სხვ.

უპროცენტო სესხს მივცემთ ყველას, ვინც რაჭაში სოფლისა და ქვეყნის, ხალხის სასარგებლო საქმეს წამოიწყებს. არ დავიშურებთ თანხას მარცვლეული კულტურების, მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, მესაქონლეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის და სხვა დარგთა განვითარებისათვის. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჩვენს ინიციატივას ხორცი ვერ შეესხა, ვინც მოვიწვიეთ და ყველა პირობა შევუქმენით, გაუმართლებელ წინააღმდეგობას წავაწყდით. მართვის ძველმა სტრუქტურამ ხალხი დააშინა, გარყვნა, ჯანსაღი კომერცია ჯერჯერობით გზას ვერ იკაფავს. ბუნებრივია, ამ უარყოფით ვითარებას რესპუბლიკის ეროვნული მთავრობა ზღვარს დაუდებს. ფრიად სასიამოვნოა, რომ რაჭის ახალი ხელმძღვანელობის მიზანდასახულება ჩვენს პრინციპებს არ უარყოფს, პირიქით, ურთიერთგაგება და თანხმობაა მიღწეული, რაც ერთობლივი საქმიანობის საიმედო პერსპექტივებს სახავს. შექმნილი მდგომარეობის სირთულე აუცილებელს ხდის პირად ემოციებსა და გუნება-განწყობილებაზე მაღლა დავდგეთ, ერთობით, თანამშრომლობით საკუთარ თავსაც ვუშველოთ და ქვეყანასაც.

აბა, რა აზრი აქვს ასეთ ტყუილს — საზოგადოება „რაჭას“ მაინც და მაინც ლებელების გადასახლება უნდაო.

მოაქვს ამონაწერი ჩემი წიგნიდან „იქ, სადაც იბადება რიონი“ (თბილისი, 1990). დიახ, ამონაწერი სწორია, მაგრამ მკითხველის შეცდომაში შეყვანის მიზნით, აშკარა თაღლითობაა ჩადენილი: ციტატი ტექსტიდან მიზნობრივადაა ამოგლეჯილი. საქმის ვითარება კი ასეთია: 1987 წლის არნახული დიდი ზამთრის შედეგად ლების ჭალისუბნის 35 კომლი ისეთნაირად დაზარალდა, რომ მათი სამკვიდრო სოფლიდან გადასახლება აუცილებელი შეიქნა. ისინი რაჭას რომ არ დაკარგოდნენ, ონის რაიონში მათი ჩასახლებისათვის შეირჩა ორი ადგილი — სოფელ სევის ჭალა და ონისა და ამბროლაურის საზღვართან მდებარე „სკოდორა“ (სორის ჭალა). ავტორი თავის დროზე სახელმწიფო კომისიაში მონაწილეობდა და მხარს უჭერდა სკოდორაში — იმავე ონის რაიონში ლებელების ჩასახლებას, რათა იქ შექმნილიყო სოფელი „ახალი ლები“. სამწუხაროდ, ეს ძალიან კარგად დაწყებული საქმე აღარ განხორციელდა. ნუთუ საკადრისია ყველას თვალებში ნაცარი შევაყაროთ და თეთრი შავად მოვაჩვენოთ?

ალბათ მალე დამტკიცდება კანონი პრესის შესახებ. საზოგადოება „რაჭის“ გამგეობის წევრები ამ კანონის საფუძველზე უფრო მტკიცედ დაიცავენ საკუთარ ღირსებას. ვღარც გაზეთ „ამბროლაურის მოამბეში“ იმოქმედებს ჯგუფი, რომელიც ლანძღვა-გინებას, ცილისწამებას, დეზინფორმაციას თანამედროვე დემოკრატიის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად აცხადებს და ასეთი „საპროგრამო მოსაზრებებით“ გაზეთის ფურცლებზე კოლექტიურ წერილებსაც ბეჭდავს. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, რაჭის საზოგადოებამ მორალურ გულისტკივილთან ერთად უდიდესი მატერიალური ზარალი განიცადა. აქედან გამომდინარე, ვინ იცის რამდენ გაჭირვებულს დააკლდა აუცილებელი, გადაუდებელი დახმარება...

საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ თანათავმჯდომარე

ლევან ფრუიძე

გთხოვთ ჰონორარი გადაერიცხოს საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლემიკა

# გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს ნოდარ გრიგალაშვილს

თავს ვალდებულად ვთვლი მოგმართოთ აღნიშნული წერილით, ვინაიდან თქვენდამი რწმუნებული გაზეთის მეშვეობით მკითხველმა მიიღო არა მარტო ცალმხრივი, არამედ გაყალბებული ინფორმაცია. მხედველობაში მაქვს 1991 წლის 12 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ა. ფოცხიშვილის პუბლიკაცია „როდემდე უნდა ვდუმდეთ?!"

საქმე შემდეგში გახლავთ. 1979 წლის 13 თებერვალს საქართველოს მწერალთა კავშირში ნამდვილად ჩატარდა მწერალთა კავშირის, ლიტერატურის ინსტიტუტის და უნივერსიტეტის ლიტერატურის კათედრათა გაერთიანებული სხდომა, რომელმაც განიხილა ქართული ლიტერატურული კრიტიკის პრობლემები. სხდომას ხელმძღვანელობდა მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე. სხდომა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და როდესაც დასასრულს მიუახლოვდა. სიტყვა ითხოვა ალექსანდრე ფოცხიშვილმა. ვერ გეტყვით მას ამ სხდომასთან რა კავშირი ჰქონდა, მაგრამ მიიღო რა სიტყვის უფლება, შეეცადა ტრიბუნა ჩემს სალანძღავად გამოეყენებინა. მას გარკვეული დროის მანძილზე უსმინეს და როდესაც ყოველგვარი ზღვარი და ნორმა დაირღვა, სთხოვეს, ფაქტიურად, აიძულეს, მიეცა საშუალება მწერალთა კავშირისათვის გაერკვიათ მისი პრეტენზიები. ეს ასეც მოხდა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით იმავე წლის 1 მარტს შეიკრიბა თითქმის იგივე აუდიტორია, რომელსაც შექმნილ ვითარებაზე ვრცელი ინფორმაცია გაუკეთა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე გიორხელიძემ. სათანადო საბუთებზე დაყრდნობით, არგუმენტებისა და ფაქტების საფუძველზე იქნა უარყოფილი ა. ფოცხიშვილის მიერ ჩემდამი წაყენებული ყველა ბრალდება და პრეტენზია. დამსწრეთა ყველა შეკითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი.

დაბეჯითებით მოვითხოვ დასახელებული ინფორმაციის თქვენივე გაზეთში გამოქვეყნებას. იგი წარმოაჩენს თუ რა ადგილი მიუჩინა მწერალთა კავშირმა ბრუნდსა და მართალს. ეს ჩემი უმორჩილესი თხოვნაა. ამით გაზეთის რედაქცია არა მარტო თავის ობიექტურობას გამოავლენდა, არამედ ნაწილობრივ მაინც გამოასწორებდა იმ ეთიკური ნორმის უგულებელყოფას რაც იმაში მდგომარეობს, რომ იცოდა რა ჩემს მიერ ა. ფოცხიშვილის მიმართ აღძრული საქმის გამო 13 მარტს უნდა დაწყებულიყო სასამართლო განხილვა, 12 მარტს დასახელებული სტატია არ უნდა გამოექვეყნებინა. ა. გიორხელიძის მიერ მწერალთა კავშირში გაკეთებული ინფორმაცია მცირე ნაწილია ჩემს მიმართ 17 წლიანი გაუთავებელი ბრძოლისა და, ალბათ, არ გაგიკვირდებათ მისი შემდგომი ცინიკური ნაბიჯი — ა. ფოცხიშვილმა სწორედ იმ დროს, რა დროსაც თქვენთან ეს სტატია მოიტანა გამოსაქვეყნებლად, ჩემთან პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი გამოგზავნა წინადადებით — „გამომეტანა სასამართლოში შეტანილი განცხადება, რადგან მან (ა. ფოცხიშვილმა) ჩემთან ბრძოლა დაამთავრა" და იცით რა მიზეზით? თურმე „მე ქალი ვარ, თანაც დღეს უკვე ქვრივი და მის ვაჟკაცობას ასეთი ბრძოლა აღარ ეკადრება." როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. იქნებ თქვენ მაინც შეახსენოთ ა. ფოცხიშვილს, რომ ქართველ ქალს ქვრივობა და გაჭირვება ძალას ჰმატებს. მე, როგორც ქალს, არასდროს არავისგან შეღავათი არ მითხოვია და მან ისიც უნდა იცოდეს, რომ სიმართლისთვის კანონი არსებობს. მე, რომ თავის დროზე დავდგომოდი ამ გზას — დღეს არც თქვენი და არც მკითხველის შეწუხება არ დამჭირდებოდა.

რაც შეეხება თქვენს პუბლიკაციას „მე ვწერ აკადემიკოს დედაკაცზე" (ზედმეტად ვთვლი შეგახსენოთ, რომ „დედაც კაცია"), აგრეთვე ა. ფოცხიშვილის წერილზე გაკეთებულ სარედაქციო შესავალს, საფუძველს მაძლევს უფრო ღრმად დავრწმუნდე იმაში, რომ ჩემს მიმართ ბოლო რამდენიმე თვეა პრესის ასეთი დაინტერესება შემთხვევითი არ არის, მას გარკვეული ჯგუფის მიერ პიროვნების ორგანიზებული და პირშეთქმული დევნა ეწოდება, რომლის მიზეზიც სწორედ ა. ფოცხიშვილმა გაამხილა. სხვაგვარად თქვენდამი რწმუნებულ გაზეთს ჩემი პიროვნებისადმი ამდენი ადგილის დათმობის მიზეზიც უნდა ჰქონოდა.

ვიმედოვნებ, ყოველივეს თავისი სახელი დაერქმევა და კიდევ იმას, რომ არც თქვენს პუბლიკაციას დავტოვებ პასუხის გარეშე.

თავის დროზე მე შეგნებულად არ მოვიტანე პასუხი თქვენს წერილზე გაზეთ „საქართველოში". ჩემს გადაწყვეტილებას — მეპასუხა გაზეთ „სახალხო განათლების" (დღეს „ერი") საშუალებით რამდენიმე მიზეზი გააჩნდა:

პირველი ის, რომ მე სახალხო განათლების უკვე ხანდაზმული მუშაკი მქვია და პატივად მიმაჩნდა ჩემი სიმართლე სწორედ ამ გაზეთის საშუალებით მეუწყებინებინა საზოგადოებრიობისათვის. უმნიშვნელო არ გახლდათ ისიც, რომ ახლად დანიშნული რედაქტორი, რომელიც მის მიერ ხელმოწერილი გაზეთის პირველ ნომერში თავისი მეობის განაცხადის გაკეთებას ცდილობს და ამისთვის ჩემი 27 წლის წინათ გამოცემულ ბროშურას ირჩევს, ჩემი ღრმა რწმენით, იგი მისდამი დიდ ნდობას ამგვარი სტატიის შემკვეთის სიამოვნებას ანაცვალებს. თქვენ ხომ სწორედ ასე მოიქეცით?

პატარა მიზეზი არ იყო ისიც, რომ მე თქვენდამი ჩემი ადამიანური დამოკიდებულება მქონდა, თვალს ვადევნებდი თქვენს ნიჭიერ პუბლიკაციებს და დღესაც საგანგებოდ მაქვს შენახული პატარა ლექსთა კრებული წარწერით „ქალბატონ ნათელა ვასაძეს მოკრძალებით, ულრმესი პატივისცემის გრძნობით — ნოდარ გრიგალაშვილი. 1987 წლის 20 აგვისტო".

თქვენ ისიც იცით, თუ რა ბედი ეწვია ჩემს პასუხს თქვენდამი. იგი უკვე აწყობილი ამოიღეს ნომრიდან და, როგორც მითხრეს, მისი ამონაბეჭდის ერთი პირი თქვენც გაახლეს. რას იზამ, ზოგჯერ უარესიც ხდება და თუ ჩემი ბროშურა 27 წლის შემდეგ გაიხსენეთ, იქნებ ჩემთვისაც მოგეცათ ცოტაოდენი დრო პასუხისათვის, თანაც გერჩიათ როგორ მეპასუხა სამი-ოთხი თვის განმავლობაში ჩემდამი პრესის ესოდენ დიდი დაინტერესებისათვის. ვფიქრობ, ჩემს მიერ არჩეული გზა — თხოვნით მიმართვისა უზენაესი საბჭოს განათლების კომისიისადმი — დამდოს პატივი, გაერკვეს ყოველივეში და აუწყოს საზოგადოებას რა და რატომ ხდება, მისაღები უნდა ყოფილიყო. ამისათვის კი მეც და თქვენც მოთმინება დაგვჭირდებოდა.

დღეს კი თქვენი წერილის მხოლოდ ერთ დეტალზე გიპასუხებთ. თქვენ ხშირად იყენებთ სიტყვათშეხამებას „წერს აკადემიკოსი". ეს უბრალო შეცდომა როდია? მე ამ ბროშურის გამოცემიდან 24 წლის შემდეგ ამირჩიეს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიაში და დღეს იქნებ აღარც მე მომწონს 27 წლის წინათ დაწერილი?

პასუხის სხვა რედაქციაში მიტანა იმითაც იყო გაპირობებული, რომ მტერი მარტო მე როდი მყოლია? თქვენი პუბლიკაციის გამოსვლისთანავე შემატყობინეს, რომ არარსებული სასკოლო ლიტერატურის სახელმძღვანელოში განათლების მაშინდელი მინისტრის პირადი ნებართვით სრულიად უკანონოდ მიგიღიათ 10000 (ათი ათასი) მანეთი, ხოლო სამინისტროს ლიმიტით — მსუბუქი ავტომანქანა. დღემდე მიმდინარეობს ამ უხეში ფინანსური დარღვევის გარკვევა, თუმცა რა გარკვევა ესაჭიროება იმას, რომ თქვენ ერთადერთი პიროვნება ბრძანდებით, რომელიც ეროვნული სკოლისთვის ასე ძვირად და უკანონოდ „გიისარჯა", ხოლო ქართული ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელო მოსწავლეებს, თქვენ წარმოიდგინეთ, არც სადღეისოდ გააჩნიათ (?!).

მე არ შემეძლო არ გამეთვალისწინებინა ისიც, რომ ესა თუ ის გაზეთი მოვლენისა თუ პიროვნებისადმი ძირითადად იმ ორგანიზაციის დამოკიდებულებას გამოხატავს, ვისი ორგანოც არის. თქვენდამი რწმუნებული გაზეთი სახალხო ფრონტის ორგანოა, ხოლო სახალხო ფრონტს სათავეში ბატონი ნოდარ ნათაძე უდგას. მე მისი მამის, დიდი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, პრინციპული და შეუვალი პიროვნების, ბატონ რევაზ ნათაძის სტუდენტი გახლდით, სწორედ ის იყო იმ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც მე მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მომანიჭა, სწორედ ბატონი რევაზი გახლდათ ის ადამიანი, რომელმაც უპრეცედენტო მისია იტვირთა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დროს ა. ფოცხიშვილთან პაექრობის უფლება არ მომცა. იმ დროს უნივერსიტეტის დასახელებულ სამეცნიერო საბჭოში ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის დარგების წამყვანი მეცნიერები შედიოდნენ და, როგორ ფიქრობთ, განა მარტო ჩემი შეურაცხყოფაა ყოველივე, რაც თქვენ და ა. ფოცხიშვილმა ამ საბჭოს მიერ გზადალოცვილ მეცნიერს მაკადრეთ? თქვენ შეგეძლოთ უმოწყალოდ გაგეწირათ ჩემი პიროვნება, მაგრამ მე ხომ ჩემი თავისთვის არაფერი მიმინიჭებია? რას ერჩით მათ, ვინც მეცნიერებაში ჩემი მცირე წვლილი არ დამიკარგეს, რას ერჩით მკითხველს, რომელსაც ჩემი ძაგებით თავიც კი მოაბეზრეთ?

სწორედ მკითხველისადმი პასუხისმგებლობა მავალდებულებს გთხოვოთ, მისცეთ კანონიერი გაგრძელება ა. ფოცხიშვილის პუბლიკაციას, აუწყოთ საზოგადოებას იმის შესახებ, თუ რა მოხდა მწერალთა კავშირში მისი გამოსვლის შემდეგ. ამით თქვენ გაზეთსა და თქვენს ობიექტურობას მხოლოდ პატივს შემატებთ.

**ნათელა ვასაძე**
1991 წ. 14 მარტი.

# ინფორმაცია, გაკეთებული საქართველოს მწერალთა კავშირში

## (1 მარტი 1979 წ.)

ამხანაგებო!*

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 13 თებერვალს, აქ, მწერალთა კავშირში ჩატარდა თათბირი, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილების — მხატვრული ლიტერატურული კრიტიკის შესახებ შესრულების მიმდინარეობას და მის შუქზე თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობისა და ამოცანების განხილვას.

ამ თათბირზე სიტყვით გამოვიდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი დოცენტი ამხ. ა. პ. ფოცხიშვილი.

ამხ. ა. ფოცხიშვილის „კრიტიკის", რომელიც დემაგოგიისა და ცილისწამების ნაზავს წარმოადგენს, სამიზნე გახდა რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული და სხვა ხელმძღვანელი ორგანოები, ამ ორგანოების ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკები. იგი სკკპ ცკ-ის პასუხისმგებელ მუშაკებსაც კი მისწვდა. და მაინც ძირითადი ფიგურა ა. ფოცხიშვილის „კრიტიკის" ცეცხლში — ეს ინსტიტუტის რექტორი ვასაძეა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დავალებული მაქვს მოგაწოდოთ ინფორმაცია ამხ. ა. ფოცხიშვილის მიერ დასმულ ზოგიერთ საკითხზე, კერძოდ, იმ საკითხებზე, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სფეროდან, რომლებიც დაკავშირებულია მის დავასთან იმ ორგანოებთან და პირებთან ვისაც კი იგი თავის გამოსვლაში შეეხო.

ამავე დროს ამთავითვე მინდა მოგახსენოთ, რომ ყველა ის მოსაზრება რომელთაც წარმოგიდგენთ მრავალჯერაა შემოწმებული კომპეტენტური ორგანოების და პირების მიერ და დაფუძნებულია სათანადო დოკუმენტურ, ფაქტიურ მასალაზე.

1. როგორც გახსოვთ მან თქვენ მოგახსენათ, რომ ჯერ კიდევ 1975 წლის მაისში ინსტიტუტის რექტორს ამხ. ნ. შ. ვასაძეს გადასცა კრიტიკული წერილი მისი (ნ. ვასაძის) ინსტიტუტში 3 წლის მუშაობის ანალიზით.

ასეთ შემთხვევას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამხ. ა. ფოცხიშვილს თქვენთვის აღარ უთქვამს, თუ რა მიზეზით იყო გამოწვეული კონფლიქტი ამხ. ნ. ვასაძესთან. ჩვენ აქ ხაზს ვუსვამთ კონფლიქტს, რადგან სწორედ ის და არა სხვა რაიმე მიზეზი გახდა დასაწყისი ამხ. ა. ფოცხიშვილის „პრინციპული" ბრძოლისა, რომელსაც იგი ეწევა ნ. ვასაძისა და „მის მფარველთა" წინააღმდეგ მთელი ამ ხნის განმავლობაში.

1975 წლის აპრილის თვეში მან რექტორთან შეიტანა მიმართვა სახალხო დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის სახელზე, რომლითაც ამხ. ნ. ვასაძეს შუამდგომლობა უნდა აღეძრა კოოპერატიული ბინათმშენებლობაში ფოცხიშვილის შესვლის თაობაზე. აღნიშნულ მიმართვაზე ნ. ვასაძემ ხელი არ მოაწერა, ვინაიდან იცოდა იმის შესახებ, რომ ა. ფოცხიშვილს ჰქონდა ოთხოთახიანი ბინა მისივე თავმჯდომარეობით აშენებულ კოოპერატიულ სახლში. ნ. ვასაძისათვის ცნობილი იყო ისიც, რომ ამ ბინაში ცხოვრობდა მისი ყოფილი მეუღლე მცირეწლოვანი 2 ბავშვით და თავად ა. ფოცხიშვილი ახალი მეუღლით. ბუნებრივია ასეთ ვითარებაში ხშირი იყო კინკლაობა, რომელიც ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფამდეც მიდიოდა. ნ. ვასაძემ მას შესთავაზა გამოეძებნა სხვა ვარიანტი საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული საუბარი დამთავრდა ა. ფოცხიშვილის მიერ ინსტიტუტის რექტორის ამხ. ნ. ვასაძის სიტყვიერი შეურაცხყოფით. სწორედ აქედან დაიწყო კონფლიქტი. სულ მალე, 18 მაისს ა. ფოცხიშვილმა რექტორის მდივანს გადასცა 12 გვერდიანი კრიტიკული წერილი, რომლის შესახებაც მან თქვენს წინაშე აღნიშნა.

საინტერესოა ბარათი, რომელიც მან ამ წერილს დაურთო. მომყავს მთლიანად:

„ნ. ვასაძეს

ცხადია, მიხვდებით, „საჩივარი" რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების სახელზეა დაწერილი, მაგრამ, სანამ დანიშნულების მიხედვით გაიგზავნებოდეს, მინდა, პირველმა თქვენ წაიკითხოთ — ჩასაფრება და „ანონიმკები" ჩემი საქმე არაა.

ღმერთია მოწამე, ჩემს მდგომარეობაში მყოფს, ახალი ჩხუბი აღარ სჭირდებოდა, მაგრამ თქვენ ისე სასტიკად შეურაცხყავით ჩემი, როგორც მეცნიერის და როგორც მოქალაქის თავმოყვარეობა, რომ გაჩუმება ძნელია.

თუ სურვილი გექნებათ, ალბათ მიპოვით: „საჩივარი" კი მდივანთანვე დამიტოვეთ; ხვალ წავიღებ. ა. ფოცხიშვილი 18. V. 75 წელი".

წერილში ა. ფოცხიშვილი ბრალს დებს ნ. ვასაძეს „თავხედობამდე მისულ ადმინისტრირებაში", არაკომპეტენტურობაში, სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვაში, მკვლელობაშიც კი და სხვა.

წერილის მიღებისთანავე რექტორმა ამხ. ნ. ვასაძემ შეკრიბა ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ქართული ენის კათედრის გამგესთან ერთად და გააცნო მათ ა. ფოცხიშვილის განცხადების ტექსტი და შემდეგ მათთან ერთად გამოიძახა ა. ფოცხიშვილი და განუმარტა მას, რომ არცერთი სიტყვა მისი საჩივრიდან სინამდვილეს არ შეესაბამება, რომ ასეთი საქციელი შეუფერებელი და შეურაცხმყოფელია, მაგრამ გაითვალისწინა რა ამ უკანასკნელის უაღრესად არეული ოჯახური მდგომარეობა — აპატია მას. მიუხედავად ამისა ა. ფოცხიშვილმა კვლავ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა ნ. ვასაძეს, რის შემდეგ ამ უკანასკნელმა მისი განცხადება თვითონ წაიღო ზემდგომ ორგანოებში. ა. ფოცხიშვილმა კი პროფ. ა. ღლონტის მეშვეობით აცნობა ამხ. ნ. ვასაძეს, რომ თუ დანიშნავდა მას ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად და შეიყვანდა ინსტიტუტის საბინაო კოოპერატივში ის საჩივარს არ გაგზავნიდა. როცა ამასთან დაკავშირებით მიიღო უარი განცხადება შეიტანა საქ. კპ ცკ-ში.

ამხ. ა. ფოცხიშვილის განცხადება საქ. კპ ცკ-ის დავალებით, შეისწავლა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილმა კომისიამ ამხანაგების — გ. ვ. მაჭავარიას (მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე), დ. ა. ქვლივიძის (სამინისტროს ხელმძღვანელი და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების განყოფილების უფროსი) და ვ. თ. ჩაკვეტაძის (სამინისტროს უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსი) შემადგენლობით. ამხ. ა. ფოცხიშვილის მიერ წაყენებული ბრალდებები ამხ. ნ. ვასაძის წინააღმდეგ არ დადასტურდა. მინისტრის ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში ჩატარდა წინასწარი თათბირი, შემდეგ კი 1975 წლის 23 ოქტომბერს სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი „თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის ა. ფოცხიშვილის განცხადების შემოწმების შედეგების შესახებ".

კოლეგიის დადგენილებაში წერია:

1. მოწონებულ იქნას კომისიის მოხსენებითი ბარათი მოცემულ საკითხზე. ა. ფოცხიშვილის განცხადება რექტორის ამხ. ნ. შ. ვასაძის მიმართ ჩაითვალოს ცილისწამებლურად.

2. მკაცრად იქნას გაფრთხილებული ა. ფოცხიშვილი, რომ მან შემდგომში არ დაუშვას საბჭოთა პედაგოგის სახელის გამტეხი ქმედობა. (?!)

3. დაგმობილ იქნას ა. ფოცხიშვილის ულირსი საქციელი კოლეგიაზე, რაც გამოიხატა კოლეგიის წევრთა შეურაცხყოფაში.

4. გათვალისწინებული იქნას რექტორის ნ. შ. ვასაძის განცხადება იმის შესახებ, რომ ა. ფოცხიშვილის ქცევასა და ქმედობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ინსტიტუტის მთელ პედაგოგიურ კოლექტივს და გადაეცეს კომისიის მოხსენებითი ბარათი ინსტიტუტს განსახილველად და შესაბამისი ზომების მისაღებად.

5. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ მოხსენდეს საქ. სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიას.

2. შემდეგ ამხ. ა. ფოცხიშვილმა განაცხადა, რომ ნ. ვასაძემ მის წინააღმდეგ გამოიყენა მისი ყოფილი ცოლი, ამავე ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სტუდენტი, რომელთაც მოუწყვეს მას პროვოკაცია საკუთარი შვილის ცემის ბრალდებით და მეგობრების დახმარებით სასამართლოს მიაღებინეს განაჩენი მისთვის — ა. ფოცხიშვილისათვის 1 წლით იძულებითი მუშაობის მისჯის შესახებ.

ყოფილმა ცოლმა ორჯერ მიმართა

გაგრძელება მე-5 გვ.

* სტილი და ორთოგრაფია როგორც პირველ, ისე მეორე წერილში დაცულია.

ინსტიტუტის გაერთიანებულ პროფკომსა და რექტორს განცხადებებით, სადაც აღნიშნავდა, რომ ა. ფოცხიშვილი არის ამორალური პიროვნება. ხშირად აყენებდა მას ფიზიკურ შეურაცხყოფას, განქორწინების შემდეგ (1972 წ.) არ აძლევს ერთობლივი ცხოვრების დროს დაგროვილ თანხის ნაწილს, რომლის გადახდა სასამართლომ მიუსაჯა, რომ ის და მისი ახალი მეუღლე კვლავ აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, რომ იგი თავის ბინაში უკანონოდ აწერდა მოქალაქეებს და სხვა. განცხადებები დეტალურად შეისწავლა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ დოც. ვ. ყანდაშვილის, პროფ. შ. ქექელიას, პროფ. გ. ზარდალიშვილის, დოც. ვ. ყვანიას და დოც. ვ. კაკაბაძის შემადგენლობით.

კომისიამ ძირითადად დაადასტურა ა. ფოცხიშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები და მოითხოვა მისი განთავისუფლება ინსტიტუტიდან.

2. ამხ. ა. ფოცხიშვილი აღნიშნავს, რომ უკვე 19 თვეა უმუშევარია და მძიმე პირობებშია თვითონაც და თავისი შვილებიც...

მართალია, სასამართლო გადაწყვეტილებით მას ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა, რის გამოც 1977 წლის 19 ივლისის ბრძანებით იგი განთავისუფლებული იქნა ინსტიტუტიდან და მას შემდეგ არსად არ მუშაობს. მისი შრომითი მოწყობის საკითხი დღემდე ვერ გადაიჭრა იმის გამო, რომ მისი სამეცნიერო კვალიფიკაციის შესაბამისმა სამეცნიერო დაწესებულებებმა (რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) უარი განაცხადეს მის მიღებაზე სამუშაოდ, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის შესაბამის კათედრებზე ვაკანტური ადგილი არც იყო და ამავე დროს მისი შემდგომი გამოყენება უმაღლეს სკოლაში მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული. ამჟამად მისი შრომითი მოწყობის საკითხი მოგვარებულია.

აქვე მინდა დავძინო, რომ საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $112^1$ მუხლით 1977 წ. 18 მაისს ა. ფოცხიშვილი შვილის ცემისათვის, რაც გახდა მიზეზი ჯანმრთელობის დაზიანებისა, მსჯავრდადებული იქნა 1 წლის ვადით იძულებითი მუშაობით, მაგრამ მას ფაქტიურად არსად არ უმუშავნია, ვინაიდან იმავე წლის აგვისტოს თვიდან თბილისის ორჯონიკიძის რაისოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ იგი ცნობილ იქნა III ჯგუფის ინვალიდად (თვეში ღებულობს 48 მანეთ პენსიას). ამის შემდეგ ორჯონიკიძის რაიონის მილიციის განყოფილების მიერ განთავისუფლებული იქნა სასჯელის მოხდისაგან, როგორც პიროვნება, რომელსაც ფიზიკური შრომა არ შეუძლია. საინტერესოა საექიმო დასკვნა: „მუშაობა შეუძლია პედაგოგათ არასრული დატვირთვით"...

4. თავის გამოსვლაში ა. ფოცხიშვილმა დაასახელა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც მისი თქმით „ნ. ვახაძის უკიდეგანო ადმინისტრირებისა და ყოველგვარი კანონების საზღვარგადაცილებული მოქმედების მსხვერპლი გახდნენ სხვადასხვა დროს".

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ბრალდება არ შეესაბამება სინამდვილეს, რაზედაც მიუთითა თავის დროზე სამინისტროს კოლეგიამ. მიუხედავად ამისა მაინც მინდა მოგახსენოთ შემდეგი:

1) 1973 წ. ავტობუსში ინფარქტით გარდაიცვალა ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი, 70 წლის ვ. ცომაია, ა. ფოცხიშვილმა მისი სიკვდილი ნ. ვახაძეს დააბრალა. გარდაცვლილი ვ. ცომაიას მეუღლემ ვ. კ. ცომაიამ კი, ინსტიტუტის საბჭოს სახელზე შემდეგი დაწერა:

„ვაცხადებ, რომ ჩემს მეუღლეს არასოდეს გამოუთქვამს უკმაყოფილება ინსტიტუტის რექტორის ამხ. ნ. ვახაძის მიმართ. ჩემი მეუღლის გარდაცვალების მიზეზი იყო მთავარი მისი გულის ხანგრძლივი წლების მანძილზე დაავადება. ჩემი მეუღლე იხსენიებდა ამხ. ნ. ვახაძეს პატივისცემით და კარგი ქალობით" (ტექსტი დაცულია ა. გ.).

2) 1975 წ. გარდაიცვალა ინსტიტუტის პრორექტორი ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხაზით. ა. ბ. მისი სიკვდილიც ა. ფოცხიშვილმა ნ. ვახაძეს დააბრალა. ფაქტიურად საქმე შემდეგში იყო: ა. ბ-ს ქალიშვილი ამავე ინსტიტუტში მუშაობდა ლაბორანტად და მხილებული იქნა ამორალურ კავშირში ერთ-ერთ დეკანთან, რომელსაც **ამ საკითხის შემსწავლელმა კომისიამ** (ხაზი ჩვენია, რედ). პირდაპირი ბრალდებანი ვერ დაუმტკიცა, მაგრამ ყოველივე ამან საბოლოოდ მძიმე შედეგი გამოიღო, რასაც მწვავედ განიცდიდა უკვე მწოლიარე ა. ბ., რომელსაც ინსტიტუტში მოსვლამდე გადატანილი ქონდა ორი მძიმე ინფარქტი; იგი რამდენჯერმე ინახულა რექტორმა ამხ. ნ. ვახაძემ და ცდილობდა გამოენახა მასთან ერთად გამოსავალი, რომ ოჯახი არ დანგრეულიყო, მაგრამ სამწუხაროდ ა. ბ.-ს ქალიშვილს ოჯახი დაინგრა და იგი განთავისუფლებული იქნა ინსტიტუტიდან. ასეთ ვითარებაში გარდაიცვალა ა. ბ. რაც შეეხება დეკანს, რომელსაც ასე იცავს ა. ფოცხიშვილი, იგი თავისი სურვილით, გაცვლითი წესით (ამხ. ნ. ვახაძის დახმარებით!) სამუშაოდ გადავიდა მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში.

3) პროფ. შ. ჩხეტია ინსტიტუტში დიდიხანი მუშაობდა სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის გამგეთ, ამასთანავე მუშაობდა ორსრულგანაკვეთიანი შეთავსებით. ხანდაზმულობის და ავადმყოფობის გამო უკანასკნელ 10 წელს არცერთი ლექცია არ წაუკითხია; სამინისტროს რჩევით გადავიდა პროფესორ-კონსულტანტად, მაგრამ აქაც არ იმუშავა, და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ სამუშაოს შესრულების აუცილებლობის შეხსენების პასუხად განცხადება დაწერა პენსიაზე გასვლაზე.

4) პროფ. ა. ირემაძე განაწყენდა იმაზე, რომ მის ქალიშვილს, ამავე ინსტიტუტის სტუდენტს არ დაუნიშნეს სახელობითი სტიპენდია. შემდეგ ისიც და მისი ქალიშვილიც უნივერსიტეტში გადავიდნენ.

5) დოც. ო. ხაზარაძე მუშაობდა ფრვლების ტექნიკური ხაზულობათა კათედრის გამგეთ. ინსტიტუტში მას აფასებდნენ, მაგრამ განაწყენდა იმაზე, რომ ამხ. ნ. ვახაძემ აცნობა (თვით ო. ხაზარაძის ნათქვამის შემდეგ) სამედიცინო ინსტიტუტის მაშინდელ რექტორს პროფ. ო. ღუდუშაურს, იმის შესახებ, რომ ო. ხაზარაძე ცოლთან ერთად ეწეოდა რეპეტიტორობას. ო. ხაზარაძე იმ დროს მიწვეული იყო ფიზიკის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ; ამ მიზნით იგი გაათავისუფლეს გამოცდებიდან. შემდგომში იგი ახალმა რექტორმა პროფ. ქ. ვირსალაძემ მიიწვია საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარედ; მანვე შეეკითხა ამხ. ნ. ვახაძეს ო. ხაზარაძის შესახებ და როცა შეიტყო ზემოაღნიშნული ისტორია, იგი არ დაუშვა გამოცდებზე. ო. ხაზარაძის განცხადებები სამინისტროს კომისიამ შეისწავლა, მაგრამ მასში მოყვანილი ბრალდებები არ დადასტურდა.

6) დოც. ლ. ა-ს იმ დროს, როცა იგი ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანათ მუშაობდა, საჩივრით მიმართა სოფ. ბოლნისში მცხოვრებმა პირმა, რომელიც მოითხოვდა მისთვის დაებრუნებინა 9 ათასი მანეთი, რომელიც თითქოს მან მისცა ლ. ა-ს შვილის მოწყობისათვის. ამასთანავე, მომჩივანი ფულის აღების თანამონაწილეთ ასახელებდა ა. დ-ს, რომელსაც იმ მომენტში მისჯილი ქონდა 8 წლით პატიმრობა და რომელიც ლ. ა-სთან ერთად მუშაობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე. ამის გამო ლ. ა. გაათავისუფლეს დეკანის მოვალეობისაგან და იგი ამჟამად მთელ განაკვეთზე მუშაობს ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე.

ინსტიტუტიდან წასულთა ან „შევიწროებულთა" საქმეების შესწავლა არაერთხელ მოხდა, მაგრამ ამ საქმეში არავითარი დევნისა და შურისძიების კვალი არ აღმოუჩენიათ და ამრიგად, ამხ. ნ. ვახაძისათვის ბრალდების წაყენება შიშველ ადმინისტრირებაში და კადრების დევნის საკითხებში მართებული არაა.

5. ა. ფოცხიშვილი ყველგან აღნიშნავს, რომ ის 1975 წლის დეკემბერში სამეცნიერო საბჭოზე, სადაც სადოქტორო დისერტაციას იცავდა ნ. ვახაძე, გამოვიდა არაოფიციალური ოპონენტის როლში, ბრალი დადო ავტორს პლაგიატობაში და სხვა, მაგრამ ავტორმა მის შენიშვნებზე პასუხის გაცემაც არ ისურვა.

მართალია, ა. ფოცხიშვილი დაცვაზე გამოცხადდა მას შემდეგ, როცა ოფიციალურმა ოპონენტებმა დაამთავრეს თავიანთი გამოსვლები. მან მოითხოვა სიტყვა და საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა დისერტაციის უარყოფით მხარეებზე, ამასთან არ მოერიდა შეუფერებელ გამოთქმებსა და დამცინავი კილოთი გააკრიტიკა ნაშრომი.

დისერტანტმა მიმართა საბჭოს წევრებს, რომ მისთვის ა. ფოცხიშვილის გამოსვლა მოულოდნელი არაა, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ადრე დაემუქრა მას, რომ ჩაუგდებდა დაცვას. ამასთან მან დასძინა, რომ თუ საბჭოს თუნდაც რომელიმე წევრი მოითხოვს მისგან პასუხი გასცეს ა. ფოცხიშვილის ტენდენციურ შენიშვნებს, იგი მზადაა გააკეთოს ეს. საბჭომ ერთხმოვნად მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ დისერტანტმა არ უპასუხოს ა. ფოცხიშვილს. მიუხედავად ამისა დისერტანტმა შემდგომში წერილობით დაწვრილებით უპასუხა ა. ფოცხიშვილის ყველა შენიშვნას და წარადგინა იგი უმაღლეს საატესტაციო კომისიაში.

მთავარი კი ისაა, რომ ამხ. ნ. შ. ვახაძის სადოქტორო ნაშრომი ა. ფოცხიშვილისა და ზოგი მისი თანამოაზრის წყალობით დეტალურად იქნა შესწავლილი და განხილული უმაღლესი საატესტაციო კომისიის ყველა ინსტანციაში; უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ა. ფოცხიშვილის მიმართ დაუშვა მთელი რიგი გამონაკლისები. კერძოდ: ის მიწვეული იყო საექსპერტო ჯგუფის სხდომაზე, მას მოუსმინეს და ნება დართეს ემუშავა ნ. ვახაძის დისერტაციაზე, მას გასაცნობათ მიეცა ნ. ვახაძის პირადი საქმე, მისი საჩივრების საფუძველზე გამოყოფილი იყო უსკ-ის პლენუმის წევრთა ჯგუფი, გამოიყო არაერთი სხვა კომისია. დაიწერა არა ერთი აკადემიკოსისა და წამყვანი სპეციალისტის, წამყვანი ორგანიზაციებისა და ავტორიტეტების დასკვნები. ყოველივე ამის შედეგად ნ. ვახაძის სადოქტორო დისერტაცია განმეორებით იქნა დამტკიცებული სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის პრეზიდიუმის მიერ. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ვახაძის დისერტაციის ირგვლივ უსკ-ში, გარდა ა. ფოცხიშვილის „კრიტიკული" შენიშვნისა, არ შესულა სხვა რაიმე პრეტენზია.

აშკარაა, რომ ა. ფოცხიშვილმა თავი შეირცხვინა, მაგრამ დასკვნები კი არ გააკეთა და ყოველ შესაძლებელ მომენტს იყენებს კვლავ გაიმეოროს თავისი უსაფუძვლო ბრალდებები როგორც რექტორის ნ. ვახაძის, ასევე სხვა ხელმძღვანელი პირთა წინააღმდეგ.

6. ა. ფოცხიშვილმა აქ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მას მოუსმინეს ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, მაგრამ მის მიერ დასმული საკითხები გადაუჭრელი დარჩა.

სწორია: ა. ფოცხიშვილი რამდენიმეჯერ მიიღეს საქ. კპ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში, საქ. კპ ცკ-ში (როგორც მდივნებმა ისე განყოფილებათა გამგეებმა), მას ესაუბრნენ სკკპ ცკ-ისა და პარტიული კონტროლის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხელმძღვანელები, უმაღლესი საატესტაციო კომისიის ხელმძღვანელები. მის საჩივრებს სხვადასხვა დროს იხილავდნენ გაზეთების — „პრავდისა" და „ლიტერატურნაია გაზეტას" საკუთარი კორესპონდენტები, სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ მის საკითხზე სპეციალურად მოვლინებული რსფსრ-ს დამსახურებული იურისტი ამხ. გოლიშაპოვი და სხვები. ყველა ზემოდასახელებული მიღების დროს ამხ. ა. ფოცხიშვილს არწმუნებდნენ მისი საჩივრების უსაფუძვლობაში, ნ. ვახაძის მიმართ მისი დამოკიდებულების არაკანონიერებაში, მაგრამ როგორც ხედავთ უშედეგოდ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო**

ა. გიორხელიძე

## რედაქტორის კომენტარი

# ცრუს სიცრუის კარამდე...

**ჩვენი** გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ ალ. ფოცხიშვილის წერილის სარედაქციო წინათქმაში ვკითხულობთ: „ნ. ვახაძემ საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ არცერთმა გაზეთმა არ დაბეჭდა მისი პასუხი იმ მამხილებელ წერილებზე, რომლებიც ბოლო ხანებში დაიბეჭდა რესპუბლიკურ პრესაში.

მკითხველისათვის ცნობილია, რომ გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა ნოდარ გრიგალაშვილის სტატია „მე ვწერ აკადემიკოს დედაკაცზე".

მკითხველს შეექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რაკი ბ-ნი ნოდარი ჩვენი გაზეთის რედაქტორია, ამიტომ არ დაიბეჭდა ნ. ვახაძის პასუხი.

არადა, მხოლოდ იმის გამო არ დაიბეჭდა, რომ ნ. ვახაძეს წერილი ჩვენთვის არ მოუწოდებია.

**თუკი ისურვებს, დღესაც სიამოვნებით დავსტამბავთ მის ნებისმიერ გამოხმაურებას ყოველგვარი სარედაქციო ჩარევის გარეშე".**

შევასრულეთ ეს დანაპირები. ნ. ვახაძის წერილი დავბეჭდეთ ისე, რომ მასში ერთი სიტყვაც არ შეგვიცვლია. რაც შეეხება ა. გიორხელიძის მოხსენებას, იგი მცირეოდენ შემოკლდა, ისე როგორც წინა ნომერში დასტამბული ა. ფოცხიშვილის წერილი. როგორც ერთი, ისე მეორე წერილიდან ამოვიღეთ პიროვნულად მეტისმეტად შეურაცხმყოფელი დეტალები, მით უფრო, რომ ა. გიორხელიძე გარდაცვლილია და მას დაუსაბუთებელი ბრალდებებისათვის ადრესატი კარგა ხანს ვერ მოსთხოვს პასუხს...

ახლა კი დავიწყოთ პირდაპირ საქმით.

ის, რის გამოქვეყნებასაც ქალბატონი ნ. ვახაძე დაბეჯითებით გვთხოვს, („დაბეჯითებით მოვითხოვ დასახელებული ინფორმაციის თქვენივე გაზეთში გამოქვეყნებას") არსებითად არის მისივე მაკომპრომეტირებელი მასალა. ჩვენთვის ამოუხსნელი ამოცანაა, თუ როგორ ვერ ხვდება ამას აკადემიკოსი ნ. ვახაძე.

მივყვეთ მოვლენებს და თუ ასე არ არის, თავად განსაჯოს მკითხველმა. შეგახსენებთ ალ. ფოცხიშვილის ბრალდებებს ნ. ვახაძისადმი.

1). ალ. ფოცხიშვილი ჩივის, რექტორის საჯაროდ კრიტიკის შემდეგ დაიწყო მისი დევნა, რაც იქამდე მივიდა, რომ იმავე რექტორის, ნ. ვახაძის ხელშეწყობით გაუგონარი სასამართლო პროცესი მოუწყეს. საკუთარი შვილის მსუბუქად გალახვისათვის მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და ინსტიტუტიდან გაძევებულ დოქტორს მიუსაჯეს ერთი წლით გამასწორებელი სამუშაობა.

არა თუ ცივილიზებულ ქვეყნებში, არამედ, შესაძლოა, ასეთ ფაქტს სიდან ახლად ჩამოსული ხალხის ცხოვრებაშიც არ ჰქონდეს ანალოგი. აღმზრდელს აღსაზრდელის, თან შვილის მსუბუქად გალახვისათვის რომ იჭერდნენ, მთელი კაცობრიობა თუ არა, ნახევარი მაინც საპატიმროებში უნდა ვისხდეთ, ბოლო დავით გურამიშვილის „სწავლა-მოსწავლეთა" ან სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა" ცეცხლისა და გეჰენიისათვის უნდა მიგვეცა.

მოსალოდნელი იყო, რომ ნ. ვახაძე მოგვიტანდა წერილს, სადაც დაასაბუთებდა: იმ გაუგონარ სასამართლოსთან მე არავითარი კავშირი არ მაქვსო. არადა, მის მიერ წარმოდგენილი მასალიდან გვამცნობენ: ალ. ფოცხიშვილმა მართლაც ამხილა რექტორი, (თუმცა უსაფუძვლოდო), მაგრამ კონფლიქტი აქედან არ დაწყებულა. კონფლიქტის მიზეზი სხვა რამ იყოო. აი, რა ყოფილა:

ფოცხიშვილს რექტორისათვის კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში შესვლის მიმართვაზე ხელმოწერა უთხოვია, მართალია, ის ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობდა. მაგრამ რექტორს სცოდნია მისი გასაჭირი: „ამ ბინაში ცხოვრობდა მისი (ფოცხიშვილის) ყოფილი მეუღლე 2 ბავშვით და თავად ა. ფოცხიშვილი ახალი მეუღლით. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ხშირი იყო კინკლაობა, რომელიც ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მიდიოდა".

ნ. ვახაძემ ხელი არ მოუწერა მთხოვნელს და კონფლიქტიც აქედან დაიწყოო, გვამცნობს განათლების სამინისტრო ა. გიორხელიძის მეშვეობით. რატომ მერე, ბატონებო, რატომ არ უნდა მოეწერა ხელი?!

როგორც ვხედავთ, ეს კონფლიქტი, სავსებით უსაფუძვლოდ, ნ. ვახაძეს დაუწყია. მისი ბიუროკრატიზმით აღშფოთებულმა ფოცხიშვილმა კი რექტორის მიერ გაწეული მუშაობა შემდეგ საჯაროდ ამხილა. აი, ეს ვერ არის კარგი საქმე. საზოგადო ჰირზე წერისას, ფოცხიშვილს პირადი გაღიზიანება არ უნდა დაედო საფუძვლად.

რა შედეგი გამოიღო ფოცხიშვილის მიერ რექტორის მუშაობის მხილებამ? ვერც ბინა მიიღო, სამინისტროს კოლეგიამაც „გაამშავა" დაბოლოს, 1972 წელს გაყრილმა ცოლმაც, რატომღაც, სწორედ ამ პერიოდისათვის (კონფლიქტი რექტორსა და ა. ფოცხიშვილს შორის დაიწყო 1975 წ.) უჩივლა. რატომღაც, ნ. ვახაძესთან. რექტორმა სასწრაფოდ გამოყო პარტიული კომისია. (პარტიული კომისიები, როგორც გიორხელიძის მოხსენებიდან ჩანს, თითქმის პერმანენტულად იქმნებოდა ყოფილ პუშკინის სახელობის ინსტიტუტში ნ. ვახაძის რექტორობის ჟამს და ფაქტიურად რექტორის პირადი ჟანდარმერიის როლს ასრულებდა. (ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით).

**„კომისიამ ძირითადად დაადასტურა ა. ფოცხიშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები და მოითხოვა მისი განთავისუფლება ინსტიტუტიდან".** იმას აღარ წერენ, ნ. ვახაძის მიერ გამოყოფილი პარტიული კომისიის წევრები, როგორ დაადასტურეს ა. ფოცხიშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები. კარის ჭუჭრუტანასთან ჩაუსაფრდნენ და, როცა ოჯახში აყალ-მაყალი ატყდა, მაშინ შეამტვრიეს კარი. თუ გადაირია დოქტორი ფოცხიშვილი და კომისიის თვალწინ გაუმართა ქალს მუშტიკრივი?

როგორც ჩანს, არც ერთი მომხდარა და არც მეორე, რადგან ფოცხიშვილი იმხანად ვერ გაათავისუფლეს.

გამოხდა ხანი. გათენდა ერთი ნავსიანი დღე. ალ. ფოცხიშვილის 7-8 წლის ბავშვმა ცოტა წაიცუღლუტა, მამა გაუბრაზდა და მსუბუქად წაუთაქა ბავშვისავე ხელები. ამუშავდა ალიანსი: ბავშვის დედა, ინსტიტუტის რექტორი, ჰოდა, ამ თქვენმა დოქტორმა, რომ ეგონა სიმართლისთვის ვიბრძვი, ვერც რექტორი დამაკლებს ვერაფერს და ვერც მისი მფარველი საბჭოთა ხელისუფლებაო (რექტორის მეუღლე იმ დროს საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა მნიშვნელოვან თანამდებობაზე), ბავშვის ერთი პატარა წათაქებისათვის იქ ამოყო თავი, სადაც ჯერ არს, შრომით რომ გამოსწორებულიყო...

სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ წელიწადნახევარი უმუშევარი აყიალეს. საბჭოთა ხელისუფლების მოციქულები კი მწერალთა კავშირს მოასხენებენ, რას გვიჩიოდა ფოცხიშვილი, რაიკომშიც მივიდეთ, ქალაქკომშიც, ცეკაშიც, ვესაუბრეთ, ავუხსენით, ველაპარაკეთ, — არ არის მართალი ნ. ვახაძესთან, ნუ ჩაგრავს იმ ქალსო, მაგრამ არაფრით არ გვიჯერებს, თავისებური პიროვნებაა, ვახაძეს კი

გაგრძელება მე-8 გვ.

## რიგში ვდგავარ. ცეცხლი მიკიდია...

ფელიქს კოჭიაშვილი

# არა მხოლოდ „წმინდა პოლიტიკით“

**ალბათ** ბევრს ახსოვს ამ თხუთმეტიოდე წლის წინ არკადი რაიკინის მიერ მისთვის დამახასიათებელი არტისტიზმით შესრულებული მიხაილ ჟვანეცკის მონოლოგი „ბევრი სიხარული“, რომლის პერსონაჟიც ერთ, მართლაც მშვენიერ დღეს, თავისდა მოულოდნელად და დიდად გასაკვირად, ჩვეულებრივ მაღაზიაში შეიძენს არაჩვეულებრივად კარგ (ე. ი. იმპორტულ) ფეხსაცმელებს, პერანგს, ასევე „მტკიცე ფასებით“ იყიდის ხიზილალას... დაბოლოს, როცა კათხა ლუდსაც რიგში ჰყლეტის გარეშე დალევს, სერიოზულად შეშფოთდება, ამდენი სიხარულისაგან გული არ გამისკდესო...

ეს ნაწარმოები ახლაც პოპულარულია, ანეკდოტად დადის ხალხში. ოღონდ ეგაა, მის მოსმენაზე აღარ გვეცინება; ძნელია გაიცინო საკუთარ ცხოვრებაზე — ლამის ყოველი ჩვენგანი ხომ განუწყვეტლივ, ყოველდღიურად ელემენტარული „სიხარულების“ ძიებაშია.

„ეძიებდე და ჰპოვებდეო“, და ჩვენც დავდივართ, დავრბივართ და ვეძებთ: ჩასაცმელს, დასახურს, სასმელს, საჭმელს, ათასგვარ პირველი თუ მეასე მოხმარების საგანს... და თუ ბედმა გაგვიღიმა და „ვპოვეთ“, შემდეგ მის მოსაპოვებლად საათობით „ვატარებთ დროს“ რიგებში...

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და ჩვენც შევეჩვიეთ ამგვარ ყოფას. თუმცა, შესარჩევი რა გვქონდა. ათეული წლების განმავლობაში „საბჭოთა ადამიანი“ ბავშვობიდან სიბერემდე ამ ყოფის მოწმე-მონაწილე იყო და ეს „რიგიანი ცხოვრება“ მისთვის სწორედაც რომ ნორმას წარმოადგენდა. სხვაგვარი ცხოვრება თუ არსებობდა, ან არ იცოდა, ან ყურმოკვრით, ლეგენდად გაეგონა („რკინის ფარდის“ იქით არსებული ცხოვრება).

დღეს ამ „ლეგენდარულ ცხოვრებას“ ტელევიზიის წყალობით (ადრე მხოლოდ „დამპალი დასავლეთის“ საშინელებებით რომ გვაშინებდა) ხშირად ვხედავთ და ერთგვარად სინანულიც გვიპყრობს — ნეტა სულ არ ეჩვენებინათო (ორიოდე წლის წინ რუსულ გაზეთებში იბეჭდებოდა კიდეც აღშფოთებულ მოქალაქეთა წერილები, ნუ გვიჩვენებთ მაინც იქაურ მაღაზიებსა და მომსახურებას, ჩვენ კიდევ გაგიჟება გვინდაო?! ისიც ცნობილი გახდა, ბევრი ჩვენებური ემიგრანტის ცხოვრებამ როგორ „დაკარგა აზრი და ხალისი“, რაკილა ერთ სუპერმარკეტში ლომილომილით, უმტკივნეულოდ (უმეჯლუგუნოდ) შეუძლიათ შეიძინონ ყველაფერი, ასანთით დაწყებული და ავტომანქანით დამთავრებული).

ვხედავთ ამ „ალტერნატიული ცხოვრების“ სურათებს და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იწერება, ბევრი სიტყვა, პროექტი, რჩევა, რეკომენდაცია იხარჯება ამგვარი „ურიგო ცხოვრების“ მოსაწყობად, „წერე და იკითხე“ — ყველაფერი ძველებურად, უცვლელად რჩება, ანუ ძველებურად „ენაგადმოგდებულები დავრბივართ“ (ეს კი არა, ისეთი საგნები და პროდუქტებიც გაქრა, ადრე რომ „ოხრად“ იყო. არც ყველაფერი გამქრალა და არც ყველგან გამქრალაო — შემეკამათება ვინმე, და მართალიც იქნება, მაგრამ ლაპარაკია „უბრალო“ ადამიანისათვის ხელმისაწვდომ საგნებსა და პროდუქტებზე და არა „შავ ბაზრებსა“ თუ კომერციულ მაღაზიებში მართლაც ოხრად დაყრილ 4000 მანეთიან „ინსპექტორებსა“ და 3000 ათას მანეთიან შოკოლადის როიალებზე).

ყველაფერი უცვლელად რჩება -მეთქი, ვთქვი ზევით, არადა, უცვლელად როგორ არის, როცა ყოველდღიურად „სტიქიურად“, „არაოფიციალურად“ იცვლება ანუ იზრდება ფასები თითქმის ყველაფერზე. ხოლო თუ 2 აპრილისათვის გათვალისწინებულ „ოფიციალურ“, ორმაგ-სამმაგ გაძვირებას გავითვალისწინებთ...

ეს ყველაფერი ხომ ისედაც კარგად ვიცით, შენ ის გვითხარი, რა გვეშველებაო, — იტყვის მკითხველი.

საქმეც ისაა, რომ ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ ვიცით ერთმანეთთან ლაპარაკის, „გულის მოოხების“ დონეზე. მეჩვენება, რომ ჩვენს პოლიტიზებულ დროში, პოლიტიკით, პოლიტიკოსობით, პარტიული ბრძოლებით საყოველთაო დაინტერესება-გატაცების დროს ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომიკურ, ყოფით პრობლემებს. არადა, ხომ არ შეიძლება ყველაფრის **ხამომავლოდ, დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივისათვის გადადება.** თუ დღესვე, შესაძლებლობის ფარგლებში არ ვიზრუნებთ მომავალი, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკისათვის, თუ მცირედ მაინც აქედანვე არ ჩავუყარეთ საფუძველი მის შენებას, შემდგომ კიდევ უფრო გაჭირდება ეს „შენება“.

თქმა არ უნდა, იმ პირობებში, როცა რესპუბლიკის ეკონომიკა, მთელი სახალხო მეურნეობა „კავშირის“ ეკონომიკას, სახალხო მეურნეობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მასზეა გადაჭიდებული, დამოუკიდებლად, სრული ძალით მოქმედება შეუძლებელია, მაგრამ, **ისიც რომ არ კეთდება, რისი გაკეთებაც (თუნდაც დაწყება) დღესვე შეიძლება?** მაგალითად, ფაქტობრივად არათუ არაფერი არ კეთდება, ლაპარაკიც კი არ არის პრივატიზაციაზე, იმაზე, თუ როდის, როგორ, რა სფეროებში, რა სისტემით უნდა განხორციელდეს ეს აუცილებელი ღონისძიება, „მოსახდელი ჭირი“. არადა, უკვე შეიძლებოდა მცირე საწარმოებისა და სხვა ობიექტების შრომითი კოლექტივებისა თუ კერძო პირებისათვის უმტკივნეულოდ, „ცენტრის“ დაუკითხავად გადაცემის დაწყება (რაც, სხვათაშორის, უკვე კეთდება ბალტიის რესპუბლიკებსა და რუსეთში).

ასევე **გაურკვეველია** საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ნაციონალიზაციის, მათი მომავლის საკითხი. განსხვავებით ბალტიის რესპუბლიკებისაგან, სადაც უკვე მიმდინარეობს ეს პროცესი, ჩვენთან „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“, თითქოს ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობდეს.

თუ არ კეთდება ის, რისი გაკეთებაც (ასე თუ ისე) შეიძლება, სამაგიეროდ, კეთდება ის, რაც არ უნდა კეთდებოდეს. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ამას წინათ ყოველგვარ საქონელზე ხუთი პროცენტის დარიცხვა (მომატება), რაც თურმე პრეზიდენტ გორბაჩოვის „ფონდისათვის“ ყოფილა განკუთვნილი (როგორც მოსკოვში მოსწრებულად უწოდეს, „ჩაევიე პრეზიდენტა“).

გასაკვირია, რომ ასე მორჩილად, უდრტვინველად შესრულდა ჩვენში „ცენტრის“ ეს ყოვლად უმსგავსო, არაკანონიერი, ყაჩაღური ბრძანებულება. გასაკვირია იმდენად, რამდენადაც დაუფარავად, ყოველგვარი „მიკიბ-მოკიბვის“ გარეშე ვიბრძვით დამოუკიდებლობისათვის, გამოვაცხადეთ გარდამავალი პერიოდი, სამართლიანად ვთქვით უარი „კავშირის“ შენარჩუნებისათვის გამიზნულ უსამართლო რეფერენდუმზე, უარს ვაცხადებთ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, „განახლებულ ფედერაციაში“ შესვლაზე, ერთი სიტყვით, აშკარად (და სწორად) ვუპირისპირდებით „ცენტრს“ — და ამ დროს, ამ ვითარებაში უსიტყვოდ ვასრულებთ იქიდან მოსულ ბატონკაცურ, ყაჩაღურ ბრძანებას, ჩვენი ხელით ვუგზავნით ხარკის ხარკს ყაენ-პრეზიდენტს (რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის მაინც დაგვეტოვებინა ეს, არცთუ მცირე თანხები)!

ვფიქრობ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა (რეალური ბრძოლა) ამგვარი, „ცენტრალური ბრძანებების“ მყისიერად შესრულებაზე უარის თქმასაც უნდა გულისხმობდეს!

„მაღალი მატერიებიდან“ ისევ ჩვენს „მიწიურ პრობლემებს“ დავუბრუნდეთ.

ამ სამიოდე წლის წინ, როცა „აშკარად“ იქნა აღიარებული, რომ სახელმწიფოს არ ძალუძს უზრუნველყოს მოსახლეობა კვების პროდუქტებით, ფართო მოხმარების საქონლით, მომსახურებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ამ ფუნქციების ნაწილის გადაბარება კოოპერატივებისათვის.

კოოპერატივების თემაზე იმდენი ითქვა, დაიწერა (ავიც და კარგიც), ზედმეტად მიმაჩნია მასზე გამოწვლილვით საუბარი.

მაგრამ ერთი რამ კი უნდა ითქვას.

საკმარისია კრიტიკული შენიშვნა გამოითქვას კოოპერატივებზე (რომ მათი უმრავლესობა პროდუქციას კი არ ქმნის, არამედ უკვე დამზადებულს — სახელმწიფოს მიერ — ყიდიან, რომ უსაშველოდ მაღალ ფასებს ადებენ ყველაფერს და ა. შ.), რომ ეს ზოგიერთი ეკონომისტის მიერ მაშინვე თავისუფალი მეწარმეობის წინააღმდეგ გამოსვლად ინათლება, რასაც მოჰყვება ვრცელი, თეორიული მსჯელობანი იმის შესახებ, რომ კოოპერატივები კონკურენციის განვითარებას უწყობენ ხელს, რაც თავის მხრივ ფასების დაცემას იწვევს, რომ დამნაშავე კოოპერატივები კი არა ვაჭრობის სახელმწიფო, მოუქნელი სისტემაა და ა. შ.

თეორია თეორიად, პრაქტიკულად კი ისე მოხდა (და ხდება), რომ ჯერჯერობით (ეს „ჯერჯერობით“ უკვე კაი ხანს ითვლის) კონკურენცია იმაში გამოიხატება, თუ ვინ, რომელი კოოპერატივი უფრო ასწევს ფასებს (წესით, თეორიით კი პირიქით უნდა ყოფილიყო, დაწევაში უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს). ამას ისიც უწყობს ხელს, რომ იმის მაგივრად, კოოპერატიულ სისტემასთან ერთად პარალელურად განვითარებულიყო ამა თუ იმ საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის, მომსახურების სახელმწიფო სისტემა (რაც წარმოშობდა ჯანსაღ კონკურენციას ამ ორ სფეროს შორის), სახელმწიფო, ფაქტობრივად, „ხელს იბანს“ ამ ფუნქციებისაგან. მაგალითად, თბილისში (და არა მარტო თბილისში) ზედიზედ იხურება საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ანუ შედარებით იაფი სასადილოები, კაფეები; ხილბოსტანვაჭრობის მაღაზიები და მათ ადგილას — ხშირად იმავე შენობაში — იხსნება კოოპერატიული კაფეები, რესტორნები, კომერციული მაღაზიები. ასევე კოოპერატიულ ფორმებზე გადადიან სხვადასხვაგვარი სახელმწიფო სახელოსნოები, მომსახურების ობიექტები და. შ. რაც არჩევანის საშუალებას უსპობს „უბრალო“ მოქალაქეს და ისედაც თხელ ჯიბეს კიდევ უფრო უთხელებს. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ მოხდა კარგი ჩანაფიქრის, ჩინებული ფორმის გაუკუღმართება. ხანდახან იფიქრებ კიდეც, სპეციალურად ხომ არ კეთდება ეს ყველაფერი, რომ სახელი გაუტეხონ ამ ფორმას? ზემოთ აღნიშნულმა „ხელის დამბანველმა“ — სახელმწიფომ და ცალკეული დარგებისა და საწარმოების მესვეურებმა „განტევების ვაცად“ ხომ არ აქციეს ეს კოოპერატივები, შირმად ხომ არ იყენებენ, მათ ხომ არ აწმენდენ ხელს? ერთი მაგალითი: შეხვალ კაცი მაღაზიაში — ჩვეულებრივ, სახელმწიფო მაღაზიაში — ხედავ მამაკაცის წინდას, ჩვეულებრივს, რამდენიმე ხნის წინ 70 კაპიკი რომ ღირდა და ახლა რაღაც მანჭანებით „არაჩვეულებრივ“, 4 მანეთიან წინდად „გარდაქმნილა“. ამ ფასცვალების მიზეზს რომ იკითხავ, — კოოპერატივისააო, მორცხვად გიპასუხებს გამყიდველი. არადა, ეს ოხერი, წინდის ფაბრიკები არც დახურულა და არც კოოპერატივებს გადასცემია. ძველებურად მუშაობენ, სახელმწიფოსა და „ხალხისთვის“. ოღონდ ეგაა, ამ უკანასკნელამდე ვერ (არ) აღწევს მათი პროდუქცია, საინტერესო კია, რატომ? და საერთოდ, სად მიდის? როგორც ბოროტი ენები ამბობენ, — მშობლიურ და ერთ დროს „მოძმე რესპუბლიკების“ კოოპერატივებში.

ნათქვამია, წყლის ერთი წვეთით მთელი ოკეანის დახასიათება შეიძლებაო. ნაჩვენები წინდების „წვეთის“ მაგალითი კარგად ახასიათებს ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების „ოკეანეში“ შექმნილ ვითარებას, როცა საქონელი, პროდუქცია იქმნება, არის, მაგრამ „არ არის“ (ან კოოპერატივებს არის).

სახელმწიფო მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის ამოცანიდანაც ნელ-ნელა „ითავისუფლებს“ თავს. სოკოსავით მომრავლებულ ათასგვარ სამკურნალო კოოპერატივებს უკვე მთელი „კოოპერატიული პოლიკლინიკები“ უერთდებიან. ადამიანი ხშირად იძულებით მიდის ამგვარ კოოპერატივში (რომელიც, ხშირად, სამწუხაროდ, მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებს მომსახურების იმგვარი დონით, ამგვარ „ძვირფას“ დაწესებულებას რომ ეკადრება). ის დიაგნოსტიკისა თუ სხვა იშვიათი, იმპორტული აპარატურა, რაც სახელმწიფომ შეიძინა ვალუტით და პოლიკლინიკა-საავადმყოფოებშია მოთავსებული, კოოპერატივებს აქვთ გადაცემული ქირით თუ იჯარით და კარგადაც სარგებლობენ. მართალია, არც აქამდე იყო მთლად უფასო „უფასო“ მკურნალობა, მაგრამ მაშინ ასე თუ ისე შენს „სინდისზე“ იყო დამოკიდებული ექიმის გასამრჯელო, ახლა კი... (ხშირად ისეთ პროცედურებსაც გიტარებენ, რაც შენ არ გჭირდება, მაგრამ იმათ („სჭირდებათ“).

მომსახურების ეს ფორმა (ისევე როგორც სხვა მსგავსი ფორმები) თითქოს საზღვარგარეთიდან გადმოვიღეთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქ და ჩვენთან განსხვავებული ხელფასები, განსხვავებული ცხოვრების დონე, ამასთან მკურნალობისათვის (ისევე როგორც, ვთქვათ, უნივერსიტეტში სწავლისათვის) იქ ფულს იხდის ის, ვისაც აქვს. ფასიანის გვერდით ფუნქციონირებს საკმაოდ მაღალი დონის უფასო მკურნალობის (განათლების) სისტემაც.

ფართოდ განვითარდა, გავრცელდა „სახელმწიფო სპეკულაცია და ყაჩაღობა“. სახელმწიფო საწარმოები, მომსახურების ობიექტები, ნაცვლად იმისა, რომ მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით იზრუნონ რენტაბელობის გაზრდაზე, გაცილებით ადვილ, უმტკივნეულო გზას დაადგნენ: უბრალოდ, იგივე ხარისხის (ზოგჯერ კი გაუარესებული ხარისხისას) პროდუქციას, მომსახურებას ხელოვნურად აძვირებენ. და ასე ხდება ყველა სფეროში. განმკითხავი კი არავინაა.

ყველა ზემოაღნიშნული (თუ სხვა) ეკონომიკური, სოციალური პრობლემები არა მხოლოდ ეკონომიკური, სოციალური ხასიათის მატარებელია, მათ სხვაგვარი, არცთუ უმნიშვნელო ასპექტებიც გააჩნიათ.

თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე შემდგარი ხალხის ეროვნული ცნობიერების, თვითშეგნების გააქტიურება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ „წმინდა პოლიტიკით“, რომ მოხდებოდა გააქტიურება სხვა მხრივაც, სხვა მიმართულებითაც, კერძოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ეკონომიკური ცნობიერების“ მხრივაც.

ამგვარი ცნობიერების სისუსტეზე ასეთი დეტალებიც კარგად მიგვანიშნებს.

ყურადღება თუ მიგიქცევიათ იმ ფაქტისათვის, რომ მაღაზიათა უმრავლესობაში განცხადება — „საქონელი გაიცემა მხოლოდ რესპუბლიკის მოქალაქეებზე, პასპორტის წარდგენით“-ო, მხოლოდ ქართულ ენაზეა გამოკრული (თუ საერთოდ არის გამოკრული), თითქოს ეს იძულებითი, „ულამაზო“ მაგრამ აუცილებელი ღონისძიება ქართველების წინააღმდეგ იყოს მიმართული! გამყიდველებიც რომ სწორედ ქართველებთან, ქართულად მოლაპარაკეებთან არიან „დიდ გულზე“, მათ სთხოვენ პასპორტებს უმეტესად და არა სხვებს.

ხშირად გაიგონებთ, წაიკითხავთ, ოღონდ დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და ამ ბრძოლაში ყველაფრისთვის მზად ვართ, ყველა გაჭირვებას ავიტანთო. დიახ, ლაპარაკია, „მზადებაა“ არა იმისთვის რომ გაჭირვებას ვებრძოლოთ, მის ასატანად არ გვქონდეს საქმე, — ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში მაინც, — არამედ მოთმენაზე, ატანაზე. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს „ატანა“, „შეჩვეული ჭირი“ უფრო ადვილია, უფრო გვეადვილება, ვიდრე „აუტანელი“ შრომა (იმასაც კი ვერ მივაღწიეთ, ვერ შევძელით, რომ მიტინგებს მაინც არ ვნიშნავდეთ სამუშაო საათებში!)...

ეს წერილი ანეკდოტივით დავიწყე და ასევე უნდა დავამთავრო:

მეგრელი ამერიკიდან დაბრუნდა და კითხვაზე, თუ როგორ მოეწონა იქაურობა, იქაური ცხოვრება, ასე პასუხობს: ყველაფერი კარგია, ყველაფერი ბევრია, მაგრამ რად გინდა, წყობაა დამპალი.

ჩვენ უკვე დავამხეთ „წყობა“ (კომპარტიის დიქტატურა), მაგრამ თუ ახლავე, დღესვე არ მივხედეთ, არ გავამახვილეთ ყურადღება სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, ყოფით პრობლემებზე, „ალთქმულ ქვეყნამდე“ მისვლა შემდგომ უფრო გაგვიჭირდება...




პრეზიდენტმა 5%-ის ჩაჯიბვა ინება. ამაზედაც გმადლობთ, უფალო! ხომ შეეძლო 50% წაეღო? ასეც რომ ექნა, მაინც ვერ გაამტყუნებდი: იქით რაისას ფრანგული ჩასაცმელ-დასახური და პარფიუმერია, ინგლისური სამკაულები და ამერიკული ავტომანქანები იანბარიზე, აქეთ მიუსვრას აგარაკის მშვენებლობა... ახლა სტუმრიანობა, მიმსვლელ-მომსვლელი... საზღვარგარეთული ტურნეები...

ყველაფერი ეს კი ფული ჯდება, ბატონებო, ასე რომ, ნუ გადარდებათ, თქვენი (და ჩვენი) 5% ტყუილად არ გაიფლანგება.

რომან ქარქუწაშვილის ნახატი.

# ანუ ეპიზოდები ჩვენი ცხოვრებიდან

## აფთიაქში

— ნოშპა არის?
— არა!
— ციტრამონი?
— არა!
— ვალერიანის წვეთები?
— არა!
— ვალიდოლი?
— არა!
— ანალგინი?
— არა!
— ასპირინი?
— არა!
— ბამბა?
— არა!
— ბინტი?
— არა!
— ჯანდაბა და დოზანა?!
— არა!





## სასურსათო მაღაზიაში

— ძეხვი არის?
— რამდენიც გინდა!
— არ გადამრიო!.. რომ არ ჩანს?... სადაა?!
— გერმანიაში!

## საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

— შემთხვევით საბეჭდი მანქანის ლენტი ხომ არა გაქვთ?
— არა!
— რა გაზდა, მთელი წელია დავეძებ და ვერ ვპოულობ! რა ვქნა, აღარ ვიცი!
— თუ გნებავთ, საბეჭდ მანქანას მოგართმევთ, იმას მოყვება!

## დროზე გაახსენდა

უზენაესი საბჭოს დეპუტატი ქუჩაში მიდის. მაღაზიასთან დიდ რიგს დაინახავს. გაჩერდება, უყურებს, უყურებს და ბრაზმორეული თავს გადააქნევს: „ოჰ, ამ მთავრო... იმ მთავრობის დედა კი ვატირე!"



## კინოთეატრში

— ბავშვი ვერსად დავტოვეთ და შევგვაყვანინებთ ამ ფილმზე?
— ბილეთს თუ უყურებთ — [illegible]

## პოლიკლინიკაში

— გასტროსკოპიის აპარატი თუ გაქვთ? გამოკვლევა მინდა ჩავიტარო.
— გვაქვს. მიბრძანდით კოოპერატივ „აჭუბაში", გადაიხადეთ 15 მანეთი, მოიტანეთ ქვითარი და გამოგიკვლევთ!



## გაიხარეს!

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს პარიზელმა მოდის მიმდევრებმა: ამ დღეებში აქ საზეიმოდ გაიხსნა ექვსსართულიანი. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი, ვარდისფერ მარმარილოთი მოპირკეთებული, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი" საფირმო მაღაზია „ბაბაჯლავას ქოშები".

## ემზადებიან

ჰოლანდიის მთავრობაში დაიწყო საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მზადების საკითხების განხილვა. ადგილობრივ სპეციალისტთა პროგნოზით მოსალოდნელია მეტად მწვავე და ხანგრძლივი დებატები.

## ხელოვნებამ გაიმარჯვა

დიდი შინაგანი და გარეგანი კულტურა გამოამჟღავნეს სურამელმა მელომანებმა. ახლადაგებულ კულტურის სახლში გამართული ადგილობრივი სიმფონიური ორკესტრის კონცერტისას ტაშით დაინგრა დარბაზი.

აღფრთოვანებული მსმენელები ნანგრევებქვეშაც განაგრძობდნენ მხურვალე ტაშისცემასა და „ბრავოს" ყვირილს.

## წარმატება

სურამეთის წიგნის მოყვარულთა შორის დიდი წარმატებითა და პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ მწერალთა კოოპერატივი „წიგნის მეგობარი". კოოპერატივი მომხმარებლებს უხვად ამარაგებს [illegible]ური მხატვრული ლიტერატურით.




სურათებზე:
ეს კარტოფილის 100 გრამიანი ღვეზელი „ხულ რალაძ" 100 კაპიკი ღირს!
ეს უბრალო ქათამი არ გეგონოთ, გარდაცვალებამდე ოქროს კვერცხებს დებდა, ამიტომაც
ღირს პატრონს 50 მანეთად!
ესეც „ოქროს" კვერცხები! (ცალი — 50 კაპ.)
გარედან „ხურხათია", შიგნით ხელ ხასმელია
არის ასეთი მაღაზიები — „კომერციული" ქვიათ!

# პოლიტიკა რიგში

**ახეული** ათასობით დიასახლისი და ოჯახის თავი მიეშურება ყოველდღიურად სხვადასხვა გზებითა და ბილიკებით მაღაზიებისაკენ, რომ შეიძინონ რამე და ხშირად არც კი კითხულობენ, რა იყიდებაო, ისე დგებიან კილომეტრიან რიგებში, და უკვე დახლთან მისულნი, გაკვირვებულნი და სახტად დარჩენილნი, მაინც ყიდულობენ, ვთქვათ, საპონს, რომელიც შტაბელებად უწყვიათ საკუჭნაოში.

რას იზამ, განგებამ ინება ასე, რომ ხორცის, კარაქის, შაქრის, არაყნის, ქათმის, კვერცხის და ვინ მოთვლის, კიდევ რისი (დესერტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) ძებნაში დავლიოთ ჩვენი წუთისოფელი და მათგან რომელიმეს შეძენის სიხარული ჩავთვალოთ ადამიანურ სიხარულად.

ამასწინათ გადავწყვიტე, რაც იქნება, იქნება, ჩავდგები ერთი რიგში და არაყანს მაინც ავიღებ-მეთქი (მომენატრა ეს ოხერი!), დილის ხუთ საათზე მისულს პირველი მეგონა ჩემი თავი, მაგრამ, გაგიგონია? ოც კაცამდე მაინც იყო ატუზული რიგში რძის ნაწარმის მაღაზიასთან იმ სიცივეში. და ჰოი, საოცრებავ, დიდის გულდადებით და ადრიანი დილისთვის შეუფერებელი აზარტით არჩევდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებს — იმდენად გაპოლიტიკოსდით ყველა—

ბევრი რომ არ გავაგრძელო, შვიდ საათამდე ვერ ველირსეთ მანქანის მოსვლას. ამასობაში რიგიც დაგრძელდა და კითხვის ნიშნებით მოილენა.

მოგრძოალდა, როგორც იქნა, მანქანა. გადმოტვირთეს რძე, მაწონი, არაყანი, ხაჭო და დაიწყეს გაყიდვა. შეიქნა ერთი ჯგლეთა, მიწევ-მოწევა, უმისამართო გადაძახილ-გადმოძახილები. მე კი ვიდგავარ და გულ მშვიდად მაქვს: ოცი კაცი (საათითიდან დავითვალე) მიდგას წინ და ნახევარ საათში, დიდი-დიდი, ერთ საათში მაინც ხომ ავიღებ-მეთქი. თქვენც არ მოჩიკვდეთ: იმ ჩემი ციდვის სავსე ოც კაცს რატომ ამჭერ ოცი მაინც არ ამოუდგა გარდით, რიგი დაგვიბრუნეს და ახლა რიგში დგომა მინდა, არც არაყანი, მაგრამ დილის ხუთ საათზე დგომის რა ვუყო, თანაც, სახლში მიუღებლად რა უნდა ვთქვა? გადავწყვიტე, ბოლომდე მებრძოლა.

უცაბედ, წინ, ტახტთან რაღაც ყაყანი ატყდა. მეტი უზარმაზარი ჩანთით ხელში გამოჩნდა ახალგაზრდა რუსის ქალი, რომელიც ჩქარი ნაბიჯით და სიტყვებით: „СВОЛОЧЬ", „СВИНЬЯ" რიგის ბოლოსკენ გაეშურა და როგორც კი რიგს გასცდა, შემობრუნდა და არტისტული პოზით დაგვაძახა: «Какой ты дерьмо, такие и Вы все!..».

დავრჩით სახტად ეს ასიოდე კაცი, რას გვემართლება ეს ქალიო. აღმოჩნდა, რომ ამ ჩვენი ცოდვით სავსეს 20 არაყნის, 10 მაწონის, 6 ხაჭოს და 5 ბოთლი რძის აღება მოუნდომებია! რიგში წესრიგის დამცველს კი (ასეთი ყოველ რიგში გამოჩნდება ხოლმე) შეუვალად განუცხადებია: აიღებ იმდენს, რამდენსაც იძლევიანო! შექმნილა ერთი ბილწსიტყვაობა, ჩიკავი და ბოლოს ეს ქალი რიგიდან გამოვარდნილა დაბოღმილი.

ასე მოგვნათლეს იმ დილით ყველა ქართველი და არაქართველი იმ ბილწი სიტყვით.

ცხრა სრულდებოდა, როცა დიდი წვალებით მივადექი დახლს. ახლა კი ამოვისუნთქე. თავისუფლად: ავიღებ რაც მინდა და სახლში მისული კაი ერთსაათიან ძილსაც გამოვაცხობ-მეთქი. ბედად, შაბათი დღე იყო.

— არაყანი ამდენი... — ვეუბნები გამყიდველს.
— გათავდა! — მპასუხობს.
— ხაჭო?
— აღარაა.
— მაწონი?
— არც მაწონი.
— რძე?
— რამდენი ბოთლი?
— არცერთი! — ვპასუხობ გულმოსული და ბოლომისაგან გამწვანებული ბოხლ-ბოხლებით გაგამართულ ზარპლიკულ (ჩემსავით გამწვანებულ-გაყვითლებული ბევრი გამიცვდა რიგიდან).

გადავწყვიტე, რომ არც არაყის, ხაჭოს და მაწონის მიღება აღარ მინდოდა.

თუმცა, ერთი მხრივ, მაინც საინტერესო აღმოჩნდა იმ რიგში დგომა: იმდენი პოლიტიკური ახალი ამბები, მაჭორები, თეორიები მოვისმინე, რომ პოლიტიკურად განათლებული ვარ. უფრო საინტერესო ის იყო, რომ ყველაზე მეტად ქალები ამტყუნებდნენ ამ საქმეში (ახლა აღარ მიყვარს, თუ რატომ დგანან ქალები რიგში) მთავრობის სახლის წინ.

ვურჩევ პოლიტიკოსებს: თუ უნდათ, სწორი გზით იარონ და ხალხის სიმპათიაც დაიმსახურონ, ხშირ-ხშირად დადგნენ რიგებში და კარგად მოუსმინონ ყური იქ გამოთქმულ პოლიტიკურ კონცეფციებსა და პროგნოზებს.

**სერგო რუხელი**

# ჩვენი პოზიცია

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 29 იანვარს მიღებულ კანონში „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ" უკიდურესადაა შეზღუდული სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილება. ფაქტობრივად, საკრებულოები ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების — პრეფექტისა და პრეფექტურის საქმიანობაზე და რეალურად მათ თითქმის უფუნქციო დანამატს წარმოადგენენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პრეფექტებად უზენაესი საბჭოს წევრების დანიშვნა ეწინააღმდეგება არჩევნების დროს მათ მიერვე არაერთხელ დეკლარირებულ საყოვეთაოდ აღიარებულ და სამართლიანი ხელისუფლების დაყოფა-გამიჯვნის საყოველთაოდ მიღებულ დემოკრატიულ პრინციპს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერ ხედავს რა ხელისუფლებათა ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სადეპუტატო მანდატებისათვის ბრძოლის საჭიროებას, საქართველოს სახალხო ფრონტის ხობის რეგიონული ორგანიზაცია არ მონაწილეობს 1991 წლის 31 მარტს დანიშნულ არჩევნებში.

**ხობის სახალხო ფრონტის ხაზელით თავმჯდომარე მ. ბუბუტეიშვილი.**

# ქველმოქმედება

ამ დღეებში საქართველოს სახალხო ფრონტის დედოფლის წყაროს რაიონის სოფ. არხილოსკალოს კოლმეურნეობის რწმუნებულთა (თავმჯდომარე არსენა ჩოხელი) ინიციატივით კოლმეურნეობამ სამაჩაბლოს ალორძინების ფონდში გადარიცხა 12500 მანეთი. ამას გარდა, ავტოპარკის მძღოლებმა გადარიცხეს 1600 მანეთი, მევენახეთა მეორე ბრიგადამ — 1200 მანეთი. სამაჩაბლოელ ქართველთა გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანეს აგრონომმა არსენა ჩოხელმა, მევენახე დარეჯან ბახუტაშვილმა, ტრაქტორისტებმა შალვა დავითურმა და როლანდ ქავთარაძემ, რომლებმაც 100-100 მანეთი გაიღეს.

უახლოეს ხანებში ზემო ქედისა და ქვემო ქედის მშრომლებიც გადარიცხავენ თანხებს აღნიშნულ ფონდში.

**ლევან კობერიძე**

**რედაქციისაგან:** საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობა და ჩვენი გაზეთის რედაქცია მადლობას უხდის არხილოსკალოელებს ამ მართლაც მადლიანი საქმისათვის და იმედს გამოთქვამთ, რომ ამ ქველმოქმედ საქმეში ისინი მარტონი არ აღმოჩნდებიან.

# ცრუს სიცრუის კარამდე...

(დასასრული)

არა, ჩვენც გადმოგვწვდა და პარტიული ხელმძღვანელობაც არ მოუდის თვალში. ვახაძის მეცნიერული ნაღვაწი რომ არ მოსწონს, თვითონ ვინ არის, იცით? ვინ და ქალები ნაყვარებაო.

ამაზე მწერალთა კავშირში ბევრი უცინიათ. ისე, კაცმა რომ თქვას, იქნებ მართლა იყო სასამართლოზე გადასაცემი ალ. ფოცხიშვილი, იქნებ მართლა გაიმეტა მამამ შვილი? გავიდა დრო და რესპუბლიკის პროკურორის, ბატონ ვახტანგ რაზმაძის აქტიური ჩარევის შემდეგ, როგორც იტყვიან სამართალმა პური ჭამა. ვ. რაზმაძემ ყურადღება არ მიაქცია ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის პოზიციას და ათინას სასწორი მართალი კაცისკენ გადასარა, რის შემდეგაც თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა დაადგინა (დადგენილება, № 18-1988 წ.) „საქმეზე არსებული მასალები არ აძლევს სახალხო სასამართლოს საკმაო საფუძველს ა. პ. ფოცხიშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. რის გამოც ითხოვს მოცემულ საქმეზე განაჩენის განჩინების გაუქმებას და საქმის წარმოების შეწყვეტას დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო". ეს ყველაფერი ახლა წასაკითხად ადვილია, მაგრამ ნუ დაივიწყებ, მკითხველო, რა დღეში იყო ამ დრომდე ორი ადამიანი — მამა და შვილი, რომლის მცირეწლოვანებითაც ისარგებლეს თავის დროზე და ასე მწარედ ითამაშეს ადამიანთა ბედზე.

2). მეორე ბრალდება, რაც ალ. ფოცხიშვილმა ნ. ვახაძეს წაუყენა, კადრების დევნა-შევიწროებას ეხება. ნ. ვახაძეს ჰგონია, რომ სამინისტრო, და მისი მეშვეობით გიორხელიძე, მას იცავს, ასე ეგონა, ალბათ, ცხონებულ გიორხელიძესაც, მაგრამ, რაც მოხსენების ამ ნაწილში წერია, კურიოზულობის თვალსაზრისით კულმინაციას აღწევს. მოვიყვან ორ მაგალითს:

„1975 წელს გარდაიცვალა ინსტიტუტის პრორექტორი ადმინისტრაციულ სამეურნეო ხაზით — ა. ბ. მისი სიკვდილიც ა. ფოცხიშვილმა ნ. ვახაძეს დააბრალა", — ვკითხულობთ მოხსენებაში. ასეთი ბრალდება ნ. ვახაძისადმი ჩვენს რედაქციაშიც მოიტანა ალ. ფოცხიშვილმა, მაგრამ არ დავუბეჭდეთ, რადგან გაუგონარ ცილისწამებად ჩავთვალე და პროფესორ კაცს მწარედ ვუსაყვედურე, ეს რეებს წერ-მეთქი.

არადა, თვალებს არ ვუჯერებ, რაა თქმული იმ მოხსენებაში, რომლის გამოქვეყნებაც ასე დაბეჯითებით გვთხოვა პატივცემულმა ვახაძემ? აი, რა: პრორექტორ ა. ბ.-ს ქალიშვილი იმავე ინსტიტუტში მუშაობდა ლაბორანტად და მხილებულ იქნა „საარშიყო" საქმეში თანამშრომელთან.

კი მაგრამ, მხილებული ტელევიზიით ხომ არ იქნებოდა, ან სააქტო დარბაზში ხომ არ ამხელდა ქმარი ცოლს (რაც საერთოდაც დაუჯერებელია) ან სამეცნიერო საბჭოს წინაშე? მოკლედ. ეს ამბავი შეიტყო რექტორმა ნ. ვახაძემ და ადამიანურად ის კი არ თქვა, არიქათ, გაჩუმდით, სხვის პირად ცხოვრებაში ნუ ჩაერევით, ცოლ-ქმარი თვითონ მიხედავენ საქმეს. ადგა და, როგორც მტკიცე კომუნისტს უნდა ემოქმედა, ისე მოიქცა...

რას იზამდა, მკითხველო? რას და, რაც ვთქვით ზემოთ, პარტიული კომისიების შექმნა უყვარდა-მეთქი. ჰოდა, დაუყოვნებლივ შექმნა მორიგი მაშველი კომისია. გთავაზობთ ციტატას მოხსენებიდან: „ამ საკითხის შემსწავლელმა კომისიამ პირდაპირი ბრალდებანი ვერ დაუმტკიცა (აშიყს, ნ. გ.) მაგრამ ყოველივე ამან მძიმე შედეგები გამოიღო". გამოიღებდა, აბა, არ გამოიღებდა? გაითვალისწინე, მკითხველო, რომ საქმე ეხება თავმოყვარე ქართველ სწავლულებს, ოჯახის ხალხს, რომელთა „საქმეს" უკვე საქვეყნოდ იძიებს ვახაძის კომისია. ამ ძიების შედეგი ასეთი გახლდათ. ფაქტი ვერ დადასტურდა, მაგრამ ეჭვმიტანილი დეკანი, თავმოყვარე კაცი, ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ იძულებული გახდა ინსტიტუტიდან წასულიყო. ა. ბ.-ს ქალიშვილს ოჯახი დაენგრა. ა. ბ-ს ქალიშვილი სამსახურიდანაც მოხსნეს. ორჯერ ნაინფარქტალმა ა. ბ-მ კი, ოჯახის საქვეყნოდ გამოჭენებას ველარ გაუძლო, და გარდაიცვალა. არადა, ა. ბ. თურმე „რამდენჯერმე ინახულა რექტორმა ნ. ვახაძემ და ცდილობდა გამოენახა მასთან ერთად გამოსავალი, რომ ოჯახი არ დანგრეულიყო".

ამ ტექსტის ინკოგნიტო ავტორს სინდისთან ერთად ჭკუაც არ ჰქონია.

ამ ტექსტის მიხედვით ნ. ვახაძე პრორექტორ ა. ბ-ს მკვლელი თუ არა მისი სიკვდილის დამაჩქარებელი მაინც გამოდის.

კიდევ ერთ მაგალითს გავაცნობთ მომხსენებლის ტექსტიდან. ვახაძის თანამშრომელი თ. ხაზარაძე სამედიცინო ინსტიტუტში ფიზიკის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ მიუწვევიათ. ვახაძეს კი ცნობა უფრენია, ეგ კაცი რეპეტიტორია და გამოაძევეთო. (რეპეტიტორობა მაინცდამაინც დალხინებული კაცის საქმე არ გახლავთ, მკითხველო. ამ ფრაზას რომ ვწერ, ვიცი, ვახაძე, ჩემზეც იფიქრებს, რეპეტიტორი ყოფილაო და შეიძლება მოულოდნელად კომისია დამადგეს ოჯახში, ამიტომ აქვე ვუცხადებ, არ მცალია ამ საქმისთვის და ამიტომ ვერ ვარ რეპეტიტორი). გამოუშვიათ კიდეც ის პატიოსანი კაცი, ასეთი რამ კიდევ ერთხელ გაუმეორებია ნ. ვახაძეს. მტკიცე კომუნისტური ნაბიჯია, არა? ახლა ვნახოთ, როგორ მტკიცედ მოიქცა რექტორი იმ დროს, როდესაც პრინციპულობა მართლა საჭირო იყო.

დოც. ლ. ა.-სთვის უჩივლიათ. მისაღებ გამოცდებზე ფული მივეცით და დაგვიბრუნეთო.

თუ ეს ფაქტი მართალი იყო, მაშინ ვინ ვის კოცნიდა იმათთვის კი არ უნდა ედია რექტორს თავისი კომისიებით და ინსტიტუტიდან გაეყარა, არამედ ეს ლ. ა. უნდა გაეძევებინა.

შვილის ცემისთვის სასამართლოზე გადაცემულ კაცისთვის კი არ უნდა ექცია ზურგი, აი, ეს ლ. ა. უნდა დაესვა განსასჯელის სკამზე.

მაგრამ რა მოხდა? ლ. ა. „დასაჯეს", დეკანობიდან გაათავისუფლეს და სრულ განაკვეთზე დატოვეს ინსტიტუტში.

თუ ლ. ა. დამნაშავე არ იყო, რატომ დააქვეითა რექტორმა. ხოლო, თუ ქრთამის აღები გახლდათ, ხელი რატომ დააფარა?..

ცოტა ჭკუა რომ ჰქონოდა ტექსტის შემდგენელს, ყველაფერ ამას ვახაძის დასაცავად არ დაწერდა. არც მე მთხოვდა აკადემიკოსი დაბეჯითებით, ეგ წერილი დაბეჭდეო.

ქვეყანამ იცის, ნ. ვახაძე, როგორ ავიწროებდა ბატონ აკაკი გაწერელიას. არადა, აკაკი გაწერელიასთანა მეცნიერი რომ ინსტიტუტში გყავს, ხალიჩა უნდა გაუგო...

ისე, ნ. ვახაძის მიერ აკაკი გაწერელიას შევიწროების ფაქტი, „ბუნებრივი" მგონია: როგორი ასატანია, რიგით პროფესორ აკაკი გაწერელიას, რომლის გონება ერთი აკადემიაა. ყოველდღე უყურებდე, თავად კი პიონერებზე დაწერილი ორი მწირი ბროშურის ავტორი — რექტორიც იყო და აკადემიკოსიც...

3) ალ. ფოცხიშვილის მესამე ბრალდება ვახაძისადმი, პლაგიატობა გახლავთ. ნ. ვახაძე „თავს იმართლებს": სადოქტორო დისერტაციის დაცვისას სამეცნიერო საბჭომ არ მომცა უფლება, ოპონენტისათვის პასუხი გამეცაო. ჯერ ერთი, ნ. ვახაძე დებულებით იყო ვალდებული, ოპონენტის ყველა შენიშვნაზე ეპასუხა. მეორეც, თავად რომ მოენდომებინა დებულების შესრულება, საბჭო აუჯანყდებოდა? ეტყოდნენ, გინდა თუ არა დებულება დავარღვიოთო? მესამეც, ამ ხნის განმავლობაში ხან ცეკას რომ მიმართავს და ხან ამჟამინდელ პარლამენტს, არიქათ, კომისია გამოყავით, ფოცხიშვილის ბრალდებები შეისწავლეთო, თვითონ დაეწერა, დალოცვილს, მეცნიერული ნაშრომი და ეჩვენებინა, რომ ალ. ფოცხიშვილის ბრალდებანი, მისი სადოქტორო დისერტაციის შესახებ უსაფუძვლოა.

ასე არ აჯობებდა, ყურით მოთრეული ამბების წერას?

ასეთი ამბები კი ნ. ვახაძის მიერ გამოგზავნილ წერილში უხვად გვხვდება და ეს არ არის შემთხვევითი.

ეს ამოცანა მე მარტივად ამოვხსენი.

როდესაც ნ. ვახაძემ ჩემს წერილში, — „მე ვწერ აკადემიკოს დედაკაცზე", ამოიკითხა: ესა და ეს აზრი, ესა და ეს წინადადება აკადემიკოსს არ შეჰფერის, რომ ცუდი მოწაფის დონეზეა დაწერილი, დაფიქრდა. რა ექნა, რა ეპასუხა? წესით და რიგით, უნდა ეთქვა: ეგრე არ გახლავთ საქმე, ურიგო წიგნები არ მაქვს გამოცემული და, აი, ვასაბუთებ კიდეცო. მაგრამ ძალიან ძნელია მისგან ამის გაკეთება...

ამიტომ აირჩია სრულიად სხვა გზა, უფრო სწორად, მისთვის ჩვეული გზა: „კომისია" შემოიკრიბა და ჩემი ბიოგრაფიის ჩხრეკა დაიწყო. ჩემდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ვერაფერი ჩრდილმოსაყენებელი ამომიჩინა, ამიტომ იძულებული გახდა, რაღაც-რაღაცეები შეეთხზა პრინციპით, — მე დავაბრალებ, მერე ადგეს და იმართლოს თავიო.

ვიდრე ჩემდამი წაყენებულ ბრალდებებზე მოგახსენებთ, ერთ ფაქტზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. იმ მასალაში, რომელიც ნ. ვახაძემ მოგვაწოდა, ვკითხულობთ: „ა. ფოცხიშვილმა პროფ. ა. ღლონტის მეშვეობით აცნობა ამხ. ნ. ვახაძეს, რომ თუ დანიშნავდა მას ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად და შეიყვანდა ინსტიტუტის საბინაო კოოპერატივში ის საჩივარს არ გაგზავნიდა". დავუკავშირდი პროფ. ალექსანდრე ღლონტს და ვთხოვე, ეცნობებინა, ამ ფაქტს ჰქონდა თუ არა ადგილი?

აი, რა მომწერა ბატონმა პროფესორმა:

„საქართველოს" რედაქტორს
ბ-ნ ნ. გრიგალაშვილს,

თქვენს შეკითხვაზე შემიძლია გიპასუხოთ შემდეგი:

ალექსანდრე ფოცხიშვილს ჩემთვის არ დაუვალებია, რათა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მაშინდელი რექტორისათვის, ქ-ნ ნათელა ვახაძისათვის, გადამეცა, რომ თუ დამნიშნავ ფაკულტეტის დეკანად, შევწყვეტ მასთან დავასო.

ამიტომ ამისთანა რამ არ შემეძლო ვინმესთვის მეთქვა, არც მითქვამს და მას ვთვლი ცილისწამებად.

ალ. ღლონტი
23 III-1991 წ.
თბილისი

თავადაც ვიწვნიე ნ. ვახაძისაგან ამდაგვარი ბრალდებები. მას შემდეგ, რაც მისი წიგნები გავაკრიტიკე. სადაც ხელი მიუწვდა, ნ. ვახაძემ ყველგან ხმა გამივრცელა, ახლა კი, ღვთის მადლით, წერილობით მომაწოდა ის, თუ რა ჩამიდენია:

1) „არარსებული სასკოლო ლიტერატურის სახელმძღვანელოში" ავიღე ათი ათასი მანეთი. (ე. ი. ყაჩაღი).

2) განათლების სამინისტ[...] ლიმიტით მომცეს მსუბუქი ავტ[...] მანქანა (მოკლედ აუშენებივარ განათლების სამინისტრო)...

1) არა[illegible] არსებ[...] სასკოლო ლიტერატურის ალტ[...] ნატიულ სახელმძღვანელოში მ[...] ლე ჰონორარი. ხელშეკრულება[...] ნა გაფორმებული არა მხოლოდ[...] მთან, არამედ შემოქმედებით [...] ფთან, რომელშიც ექვსი ლიტ[...] ტორი შევდიოდით. დათქმულ ვ[...] ში ჩემი წილი სამუშაო შევას[...] ლე და მივიღე შრომის ანაზღაუ[...] როდის აქეთ გახდა შრომა ან[...] სი ანაზღაურება სათაკილო, ეს მ[...] ლოდ ნ. ვახაძემ იცის.

ჩემი „არარსებული" ალტე[...] ტიული სახელმძღვანელო—„სკ[...] ში შესასწავლი ქართველი მწერ[...] ბი" არსებულად რომ მიიჩნიოს, ვახაძემ საჭიროა შეიაროს ბიბ[...] ოთეკაში; მაღაზიაში ველარ იპო[...]

ერთი კია, როდესაც აღნიშ[...] წიგნს ვწერდი, (ეს კომუნისტუ[...] რეჟიმის დროს გახლდათ) განათ[...] ბის სამინისტროს სასკოლო ს[...] მძღვანელოების სამმართველოს [...] როსს, ქალბატონ ნაზი ღლონ[...] ვთხოვე: მომისმინეთ ისე, [...] წიგნი ნ. ვახაძეს არ ჩაუვარ[...] ხელთ-მეთქი (იმჟამად იგი მი[...] ტრის პირველი მოადგილე იყო [...] უშუალოდ ევალებოდა ასეთი [...] მეების კურირება). ქ-ნ ნაზი ღლ[...] ტის სასახელოდ უნდა ითქვას, თხოვნა შეასრულა, თორემ კომ[...] სტი ვახაძე იდეოლოგიურად [...] თვის სრულიად მიუღებელ წ[...] დააბეჭდვინებდა?!

2) განათლების სამინისტროს [...] მიტით ჩემთვის არავითარი ავ[...] მანქანა არ მოუციათ. ან რა[...] მომცემდნენ, მათი მუშაკი არ [...] ყავი.

ვინ ვის კოცნიდა ის არ დარ[...] ნია შეუმოწმებელი ნ. ვახაძეს [...] ასეთი ჭორი რომ ჩააწვეთეს, [...] შეამოწმა? იქ არ ბრძანდება, იმ [...] ნათლების სამინისტროში?

მაგრამ სხვაგვარ მოვლენასთ[ან] გვაქვს საქმე ძვირფასო მკითხ[ვე]ლო.

ერთ ცუდ კაცს ერთი კარგი [...] ცისთვის უთქვამს: დაანებე ჩემ[...] ბრძოლას თავი, თორემ დამარ[...] დებიო. რატომ დავმარცხდებ[...] — უკითხავს იმ ცუდი კაცისთ[...] კარგ კაცს. რატომ და მე რომ [...] კადრებ, იმისთანას შენ ვერც მო[...] ფიქრებ და ვერც იკადრებ, მო[...] შვი, დამანებე თავიო.

მეც ასე უნდა მოვიქცე. მეტ[...] დამწერი „ნ. ვახაძის თემაზე" ა[...] ვარ.

ეს წერილი კი დიდსულოვნ[...] მაპატიოს მკითხველმა.

P. S ერთადერთი, რაც ნამდ[...] ლი უწერია ნ. ვახაძეს, გახლავთ [...] რომ ოდესღაც მართლა ვაჩუქე [...] მი წიგნი. ვპირებ: ახლაც გა[...] გზავნო ჩემი „არარსებული" ა[...] ტერნატიული სახელმძღვანელო ძ[...] ლებური წარწერით, აბა საჩუქ[...] სათვის ლანძღვა ვის მიუყოლებ[...]

---

# სამძიმარი

კაცობრიობის ისტორიაში ვანდალიზმის უამრავი [illegible] მოიძებნება და ის, რაც ამა წლის 18 მარტს ხეით-ერედვის გზაზე მოხდა, თავისი ცინიზმით არ ჩამოუვარდება ყველაზე უფრო პირსისხლიან ფაშისტთა და კომუნისტთა ნამოქმედარს.

ოსმა ბარბაროსებმა სასტიკად აწამეს და ცოცხლად დაწვეს ოთხი ქართველი მამულიშვილი:

მერაბ მინდიაშვილი
ზვიად ხაბარელი
ვახტანგ ელბაქიძე
ნუგზარ კასრაძე

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მათი წმინდა სულები!

სამძიმრისა და თანაგრძნობის გამოცხადება ცოტაა მათი ოჯახისა და ახლობლებისათვის, სამძიმარი მთელ ქართველ ხალხს უნდა ვუთხრათ, რამეთუ სამაჩაბლოში მოკლული ყოველი ქართველი სამშობლოს უკვდება.

*

საქართველოს სახალხო ფრონტი,
გაზეთ „საქართველოს" რედაქცია

---

# კონკურსი — „სისხლიანი აპრილი"

საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთ „საქართველოს" რედაქცია მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან პირველ ივლისამდე ატარებენ კონკურსს რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა და ბავშვთა შორის საუკეთესო მოთხრობის, ნარკვევის, ნახატისა და საერთოდ, მცირე ფორმის ლიტერატურულ და სახვით ნაწარმოებთა გამოსავლინებლად, თემაზე „სისხლიანი აპრილი".

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო ნაწარმოებები გამოქვეყნდება „საქართველოსა" და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის გაზეთ „აზადლიგში" („თავისუფლება"), შემდეგ კი დაიბეჭდება წიგნში „ბავშვები ამხელენ ტოტალიტარიზმს", რომლის გამოცემის იდეა ეკუთვნის აზერბაიჯანში ბავშვთა უფლებების დაცვის ლიგას, რომელ[მა]ც მიმდინარე წლის დასაწყის[ში] აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ხ[ე]ლშეწყობით აზერბაიჯანელ მოსწა[ვ]ლეთა და ბავშვთა შორის უკვე ჩაატ[ა]რა ლიტერატურული კონკურსი თ[ე]მაზე „შავი იანვარი".

აზერბაიჯანელი და ჩვენი ბავშვ[ე]ბის გარდა წიგნის ავტორები, ალბა[თ] იქნებიან მათი თანატოლები ბალ[ტ]იისპირეთიდან, რომელთაც თანამ[შ]რომლობისათვის მიმართა აზერბაიჯ[ა]ნის სახალხო ფრონტმა.

საკონკურსო ნაწარმოები დევიზ[ით] „სისხლიანი აპრილი." უნდა გამოიგ[]ზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, 380009, ყაზბეგის ქ. № 1[...] საქართველოს სახალხო ფრონტი; [...] თბილისი, 380062, ილია ჭავჭავაძ[ის] გამზირი № 35, გაზეთ „საქართვე[]ლოს" რედაქცია.

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35. ტელ.: 22-16-01.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში"
გაზეთი დაკაბადონდა 23 მარტს.

XI

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი